ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე შაბათს. №1 (1789) 14 იანვარი. 2003

სისხლიანი სიღამაზის ფენომენი

მე-3 გვ.

ШЕВАРДНАДЗЕ СРУЛИ МОБИЛИЗАЦИА МОАХДИНЕС

„რუსეთი თავისი ყველაზე ძვირფასი აგენტის – შევარდნაძის ტოტალურ მობილიზაციას ახდენს, თუნდაც მისი სრული „გაშიფრვის“ ფასად. მას აიძულებენ, თავისი აგენტურული შესაძლებლობები ბოლომდე განახორციელოს ამ ეტაპზე, რადგან წინ სხვა „ეტაპი“ აღარ აქვს.“

მე-2 გვ.

კარიკატურა
მურთაზ აბაშიძისა

საქართველო – პოლიტიკური უდაბნო

„...ჩვენი ქვეყანა არის პოლიტიკურად ერთგვარი ხრიოკი მინდორი, უფრო სწორად პოლიტიკური უდაბნო, სადაც მოსული ძალები ცდილობენ თავისი ინტერესების შესატყვისად, გარკვეული გზებისა და ნაგებობების აშენებას. ისინი ამ უდაბნოს ეპყრობიან როგორც უპატრონო ადგილსამყოფელს, რაც მათი ინტერესების შესატყვისად უნდა მოეწყოს.

ასეთ პოლიტიკურ უდაბნოში მოქმედი ჩვენი ხელისუფლების ძირითად ამოცანად იქცა ერის ინტერესების გათვალისწინების გარეშე უცხო ქვეყნების ინტერესთა ბალანსირება.“

მე-6 გვ.

შეეჭვება ყველაფერში შეიძლება

გადასხდნენ თუ არა ამერიკელები მთვარეზე?

მე-3 გვ.

„ვემზადოთ ტერორიზმისთვის“

მე-4 გვ.



„დღეს დედამიწაზე, სადაც 6 მილიარდი სული ცხოვრობს, სულ 200 მილიონი დოზა ვაქცინა არსებობს, ვადაგასულისა და გაყინულის ჩათვლით.“

ბიოლოგიური ტერორიზმი

შვეიცარია და ჰოლანდია იმიგრაციის წინააღმდეგ?

მე-5 გვ.

დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე

„თითქოს ანანა ვალ ნაძვის ხე საბჭოთა ადამიანის თავისუფლების ნაყოფია“

მე-8 გვ.

ფეხბურთელი მეკვლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური ინტერვიუ

შევარდნაძის სრული მობილიზაცია მოახდინეს

ინტერვიუ ნ. ნათაძესთან

— ბატონო ნოდარ, რით ხსნით რუსეთის გააქტიურებას აფხაზეთში?

— ამ გააქტიურების ჯერჯერობით მხოლოდ ორი მხარე ჩანს: რკინიგზის გახსნა და რუსეთის პასპორტების დარიგება. მესამე ჯერ არ ჩანს: რუსების მიერ აფხაზეთში „ნაყიდი" უძრავი ქონების დაკანონების მცდელობა. ყველა ეს ნაბიჯი შევარდნაძის და პუტინის უკანასკნელი შეხვედრის შედეგია.

— რა გეგმა აქვს, თქვენის აზრით, პუტინს? ანუ სადამდე აპირებენ რუსები მოსვლას თავისი აგრესიის ამ ეტაპზე?

— პუტინის გეგმა სხვაა და „რუსებისა", როგორც თქვენ ამბობთ, სხვა. „რუსების" გეგმის ლოგიკა, მე მგონი, ასეთია: მათ უნდათ თავის შემადგენლობაში შეიყვანონ აფხაზეთი და ცხინვალის ზონა. მათ ესმით, რომ საქართველოს მთლიანად დაპყრობა მათ დღეს არ შეუძლიათ (ხაზს ვუსვამ სიტყვას „დღეს"), მაგრამ იმედი აქვთ, რომ შეძლებენ რაღაცა ტერიტორიის ამა თუ იმ იურიდიული ფორმით დაპატრონებას იმდენად, რომ „ამიერკავკასიური" სახელმწიფო გახდნენ. დღეს ისინი არიან ევროპული სახელმწიფო და აზიური სახელმწიფო, ამიტომ ძალიან დიდ აქცენტს აკეთებენ „ევრაზიულ" (წაიკითხეთ: რუსულ) ინტერესებზე და სტრატეგიებზე. კავკასიური სახელმწიფოც არიან. ახლა თუ კავკასიონის ქედის სამხრეთით რაღაც მიწა-წყალი „გაიფორმეს", ისინი ამიერკავკასიურ სახელმწიფოთა რიგშიც დგებიან, საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, და ამით განსაკუთრებული ხმის უფლება ეძლევათ. მათ იმედი აქვთ, უთუოდ, რომ ამ გზით დასავლეთ-აღმოსავლეთის ახალ ე.წ. „დერეფანს" გააკონტროლებენ და ამერიკელებს აიძულებენ, მათ ანგარიში გაუწიონ, რომელსაც უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც აღარ უწევენ. გარდა ამისა, მათ აინტერესებთ აფხაზეთი ზღვითა და საკურორტო ზონითურთ, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი ინტერესია პირველთან შედარებით. ვინ არიან ეს „რუსები", ვისზეც ვლაპარაკობ? ესენი არიან გენერლები, ბიზნესმენები, რიგითი მოქალაქეები, როგორც ასეთები, საერთოდ — რუსეთის საზოგადოება. მაგრამ არა პუტინი! პუტინს ესმის, რომ დასავლეთი „ამიერკავკასიურ სახელმწიფოდ" გადაქცევის საშუალებას რუსეთს არ მისცემს. მისი მხრიდან ეს ახალი აგრესია არის „ქულების გროვება" თავის საკუთარ ქვეყანაში, აგრეთვე აფხაზეთის „მყიდველთა" — გენერალთა და ბიზნესმენთა, მათ შორის ბერეზოვსკის — მობილიზაცია თავის აგრესიულ პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობისათვის, უარეს შემთხვევაში — დასავლეთზე პატარ-პატარა „ზეწოლის" მცდელობა პოკერის მეთოდებით, რაც, რა თქმა უნდა, ნაყოფს ვერ მოუტანს.

— რატომაა, თქვენის აზრით, შეუძლებელი ამ გეგმის განხორციელება?

— მისი დიდი, ძირითადი ნაწილისა იმიტომ, რომ დასავლეთს სასიცოცხლოდ სჭირდება შუა აზიის ჩაბმა დასავლური დემოკრატიის სივრცეში. თორემ თუ იქ ჩინეთის გავლენა გაბატონდება, ეს იქნება ჩინეთის პოტენციალის გაორკეცება (ახლო მომავალში) და, ამ საფუძველზე, ჩინურ-რუსული სტრატეგიული ალიანსის აღდგენა, რომელსაც დღეს აზრი არა აქვს — აზრი არა აქვს იმიტომ, რომ მხოლოდ ჩინეთისა და რუსეთის შეკავშირება, შუა აზიის გარეშე, ვერ მისცემს მათ დღეს დასავლეთისადმი რეალური დაპირისპირების ძალას. რაც შეეხება მეორე, ქონებრივ ინტერესს, პუტინს ესმის, რომ რუსი გენერლებისა და ბიზნესმენების „ნასყიდობები" უკანონოა და ბათილობას ექვემდებარება, თუ, რასაკვირველია, შევარდნაძის სახით საქართველოს ხელისუფლება არ დაიყოლია მათს „დაკანონებაზე". ჩემი შთაბეჭდილებით, რუსეთის ყველა „ზეწოლა" საქართველოზე ამ ბოლო წლებში პირველ ყოვლისა შევარდნაძეზე „ზეწოლაა": რუსეთს იმედი აქვს, რომ ეს სუსტი და ყოველმხრივ გაკოტრებული „პრეზიდენტი" მოიდრიკება ყველა იმ შემთხვევაში, როცა ნებისმიერი ნორმალური პოლიტიკოსი წინააღმდეგობას გაწევს, და შეუქცევად კაპიტულაციებს გააფორმებს

— თქვენ ხშირად გამოგითქვამთ ვარაუდი, რომ შევარდნაძე საქართველოში „წითელ გადატრიალებას" ამზადებს. ხომ არ მოდის ეს წინააღმდეგობაში თქვენს დღევანდელ ანალიზთან?

— არა, არ მოდის. ეს ინტერესთა და ამოცანათა გრადაციის საკითხია. შევარდნაძე წითელ გადატრიალებას, რა თქმა უნდა, ამზადებს. უფრო ზუსტად: ამზადებს ძალას ამ გადატრიალებისათვის. იგივე ძალა მან შეიძლება, უბრალოდ,თავისი პირადი ძალაუფლების დაცვისთვისაც გამოიყენოს. სახელდობრ, ყოველივე კანონის საწინააღმდეგოდ მან შექმნა „კაზაკური არმია" საქართველოში და „სიკვდილის ესკადრონები", გაუფორმებელი და სახელდაურქმეველი სახით, რომლებიც არა მხოლოდ ქართველებისგან შედგება და არა მხოლოდ ქრისტიანებისგან. რუსეთის მმართველმა ელიტამ, პუტინის ჩათვლით, იცის, რომ ასეთი გადატრიალება მიზანს ვერ მიაღწევს. ვერ მიაღწევს ისევ და ისევ იმიტომ, რომ ამას დასავლეთი არ დაუშვებს. მაგრამ რუსეთს შესაძლებელია ხელს აძლევდეს ასეთი გადატრიალების თვით დაწყების ფაქტიც. ამით, ჯერ ერთი, საქართველო განადგურდება, მეორეც — დროში ცოტა გაიჭიმება აქ მსოფლიო ძალთა ახალი, არარუსული განლაგების შექმნა. მაგრამ ესეც მეორეხარისხოვანი ამოცანაა იმასთან შედარებით, რომლის სამსახურსაც პუტინი „თამაშობს" თავისი მრევლის წინაშე და რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

— რა შეუძლია და რა ჰმართებს საქართველოს ამ პირობებში?

— ჩემგითვლით. პირველი. შეუვალი იურიდიული დაცვა. უნდა იყოს ნოტა ან ნოტები რუსეთის სახელზე და საჩივრები გაეროსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების სახელზე, სადაც რუსული **აგრესიის ყველა** ელემენტს თავისი იურიდიული კვალიფიკაცია ექნება მოცემული და საქართველოს ყველა სამართლიანი პრეტენზია დაფორმულებელი იქნება მოთხოვნის სახით. მეორე. მკაფიო იურიდიული ნაბიჯების გადადგმა იმ პირთა საზარალოდ, ვინც რუსეთის მოქალაქეობას იღებს. აგრეთვე რუსეთის ყველა იმ მოქალაქისათვის საქართველოში ყოფნის აკრძალვა, ვისაც ვიზა არა აქვს. მესამე. რუსეთის ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანა და იმ დროში, როცა ისინი აქ არიან, მათთვის ყოველგვარი ქმედების აკრძალვა თავისი სასიცოცხლო მომარაგების მოქმედების გარდა. მეოთხე. საქართველოს რეალური სათავდაცვო მობილიზაცია, კორუფციის რადიკალური დათრგუნვის ჩათვლით. თქვენს მკითხველს შევახსენებ, რომ ასეთი დათრგუნვის უტყუარი და უსისხლო მეთოდი ჩვენ განხილული გვაქვს თქვენს გაზეთში არც ისე დიდი ხნის წინ. ყველა ამ ნაბიჯთა ქმედითობის აუცილებელი პირობაა პარლამენტის მტკიცე დგომა სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის პოზიციაზე, რადგან უსათუოდ იქნება ძალიან ძლიერი მცდელობები, რომ პარლამენტს შემოალებინონ ორმაგი მოქალაქეობა და დაკანონებინონ არძინბას ხროვისაგან „ნაყიდი" ქონება რუსი და სხვა მუშტრებისათვის. დღევანდელ პარლამენტზე ჩემი აზრი იცით: ეს თითქმის მთლიანად უინტელექტო და უპასუხისმგებლო შემთხვევით პირთაგან შემდგარი დანაშაულებრივი გროვაა, რომელშიც მეტ-ნაკლები სახელმწიფო დისციპლინის შენარჩუნებას შიში სჭირდება. ამიტომ, ჩემის აზრით, ახლა უკვე დროა გაკეთდეს ის, რაც გარდუვალია: დაიწყოს კანონის და მორალის მთელი სიმკაცრით იმათი დასჯა, ვინც პარლამენტში ყოფნისას ხმა მისცა XX საუკუნის დამლევის ძირითად მოღალატურ აქტს — საქართველოს შესვლას „ესენგეში".

მანანა ლობჟანიძე

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ახალი შეტევა საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე: აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში ხდება საქართველოს მოქალაქეებზე რუსეთის მოქალაქეთა პასპორტების გაცემა და ამოძრავდა მატარებლები სოჭი-ტყვარჩელის და სოჭი-სოხუმის მიმართულებით. განზრახულია რუსი მოქალაქეების მიერ უკანონოდ შეძენილი უძრავი ქონების დაკანონება აღნიშნულ ტერიტორიებზე. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დღემდე არ მომხდარა რეაგირება ამ აგრესიაზე, რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი, შევარდნაძის მეთაურობით, თანამონაწილენი არიან რუსეთის ამ შემოტევისა საქართველოზე.

საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ შევარდნაძე და მისი პოლიტიკური გუნდი, „მოქალაქეთა კავშირის" და პარლამენტის უმრავლესობის ჩათვლით, არიან არჩევნების გაყალბების შედეგად ხელისუფლებაში მოსული უზურპატორები და რომ მათ არა აქვთ უფლება არც საქართველოს პოლიტიკური ბედის, არც საქართველოს უძრავი ქონების განკარგვისა. ამიტომ საქართველოს სახალხო ფრონტი აცხადებს:

1. საქართველოში დემოკრატიული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში დემოკრატიული ძალების მოსვლის შემთხვევაში გაუქმდება ყველა შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელიც არ გამორიცხავს რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ყოფნას საქართველოში ან რუსეთის მონაწილეობას საქართველოს ტერიტორიის რომელიმე ნაწილის ბედისა და პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაში.

2. საქართველოს უძრავი ქონების, კერძოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის ზონაში მდებარე უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების აქტები, რომელიც შეიქმნა 1993 წლიდან დღემდე ან შეიქმნება აფხაზეთისა და ცხინვალის ზონაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის სრულ აღდგენამდე, კანონსაწინააღმდეგოა და ექვემდებარება გაბათილებას.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი

ОБИЕКТУРИ ИНФОРМАЦИА

სისხლიანი სიღამაზის ზეიმი

ლონისძიება „მისს მსოფლიო“ (MISS WORLD), ბუნებრივია, მთელი მსოფლიოს ლამაზმანებს იკრებს. ამჯერად იგი ქ. კალუნაში (ნიგერია) ტარდებოდა. მაგრამ მზეთუნახავებს ბედმა უმუხთლა და ადგილობრივ გაზეთ „THIS DAY“-ში („დღევანდელი დღე“) დაიბეჭდა ირონიული წერილი იმის გამო, რომ იქაურ მუსლიმანებს არ მოსწონთ ესოდენ მკრეხელური შეჯიბრის ჩატარება რამაზანის წმინდა თვეში. უფრო მეტიც: ავტორმა (როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი ქალი იყო) ფრთხილად გამოთქვა ვარაუდი, თვით წინასწარმტყველი (მოჰამედი) რომ ცოცხალი იყოს, შეიძლება ცდუნებას აჰყოლოდა და რომელიმე ამ მშვენიერ ასულთაგანი მერვე ცოლად მოეყვანაო.

ამ პუბლიკაციის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა და ახალგაზრდა მუსლიმანთა ბრბოები ქუჩებში გამოვიდნენ. ჯერ დაწვეს გაზეთის რედაქცია, შემდეგ ეკლესიები, ბარები და საროსკიპოები. ამტვრიეს ასფალტზე ლუდის ტოლჩები და ხოცეს ქრისტიანი მეზობლები. ქრისტიანებმა პასუხად ხელი მიჰყვეს მიზგითების წვას და მუსლიმანების ხოცვას. „მისს მსოფლიომ“ სასწრაფოდ გადაინაცვლა ლონდონში და მისი მონაწილე ნაზი ასულები, თავისი საზაფხულო ტუალეტებითურთ, ინგლისის ცივ დედაქალაქში აღმოჩნდნენ. მსხვერპლმა შეადგინა 220 დაღუპული, ათასი დაჭრილი და 11 ათასი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი.

დასავლელმა კომენტატორებმა დაგმეს კონკურსის ორგანიზატორები იმისთვის, რომ თავისი შოუ „ესოდენ კონსერვატულ ქვეყანაში“ მოაწყეს. მაგრამ მათ ეს გმობა არ დაუმსახურებიათ, ვინაიდან ნიგერიაში უკვე მრავალი ათწლეულია, რაც ანალოგიური კონკურსები

ტარდება და აქაური მშვნიერნი დიდის მონდომებით ეტანებიან „მისს ნიგერიას“, „ქუინ აფრიკის“ („აფრიკის დედოფლის“) და ამისსავე მსგავს სხვა საპატიო ტიტულებს. ქალაქი კალუნა, სამწუხაროდ, განსაკუთრებით მგრძნობიარე გამოდგა. მისი მოსახლეობა ნახევრად ქრისტიანებისგან შედგება და ნახევრად — მუსლიმანებისგან და როცა ნიგერიის მთავრობამ ორი წლის წინათ შარიათის სისხლის სამართალი შემოიღო, ამას კალუნაში შეტაკებები მოჰყვა, რომლებსაც 2000 კაცი ემსხვერპლა. კალუნას პროვინციის გუბერნატორი მუსლიმანია და თანამორწმუნენ მას ვერ პატიობენ, რომ მხარს უჭერს ქრისტიან პრეზიდენტს და რომ შარიათის ძალით გავრცელებას არ ჩქარობს. სულ ნიგერიაში 1999 წლის აქეთ, როცა დღევნდელი პრეზიდენტი აირჩა, ეთნიკურსა და რელიგიურ შუღლებში 10 ათასი კაცი დაიღუპა. კალუნას ამჟამინდელ ტრაგედიაში ადანაშაულებენ პოლიციასაც, რომელიც დამაკმაყოფილებლად მომზადებული არ აღმოჩნდა, და უცხოელ ჟურნალისტებსაც, რომელთაც, ადგილობრივთა აზრით, პირი შეკრეს, რათა ნიგერია ისეთ ქვეყნად მოაჩვენონ მსოფლიოს, რომელიც ამგვარი ლონისძიებისთვის მზად არ არის.

გაზეთის რედაქტორი საიდუმლო პოლიციამ დააპატიმრა. კორესპონდენტის ავტორი ქალი საზღვარგარეთ წავიდა, ხოლო მეზობელი პროვინციის გუბერნატორმა გამოსცა ფეტვა (რელიგიური განკარგულება), რომელიც ამ ქალის მოკვლას მოითხოვს (THE ECONOMIST-ის მიხედვით).

შიდსის მსხვერპლია აფრიკის მომავალი

როგორც ჟამიანობამ მოშალა და გადაასხვაფერა მთელი სოციალური წესრიგი შუა საუკუნეთა ევროპაში, ისე ხელყოფს შიდსი, ჟ. THE ECONOMIST-ის აზრით, აფრიკის მომავალს. ინფიცირებულთა სამი მეოთხედი (30 მილიონზე მეტი სული) აფრიკაშია. ზრდადასრულებულ აფრიკელთა ერთი მესამედი უკვე ამ ვირუსის მატარებელია. განსაკუთრებულ და ცალკე საშიშროებას წარმოადგენენ ამ ინფექციით დაღუპულთა ობლები, რომელთა რიცხვი 2002 წლის დამლევისთვის უკვე 42 მილიონზე ავიდა. ამ ბავშვების უბედურება მხოლოდ ის კი არ არის, რომ ადვილად ავსებენ კრიმინალების, მეძავების, ნარკომანების რიგებს, არამედ ისიც, რომ „შიდსისგან ინფიცირებულის“ მართებული ან უმართებულო დამღა აზით, და ისიც, რომ მათ ადვილად ითრევენ ჯგუფთაშორის ომებში, რომლებიც აფრიკაში მძვინვარებს, და ამ ომებში ეს ბავშვები (ზოგჯერ 5 წლისანიც კი), იციან რა, რომ გრძელი სიცოცხლე არ უწერიათ, ყველაზე დიდ მხეცობებს სჩადიან. საყურადღებოა, რომ იმ საშინელი მდგომარეობის შემარბილებელ ფაქტორად ჟ. THE ECONOMIST ასახელებს იმას, რომ ...აფრიკაში ოჯახები დიდია (გაუყოფელია) და მის წევრებს, პაპაბებიების ჩათვლით, არ ენანებათ შრომა ობლად დარჩენილი ბავშვების აღსაზრდელად.

მაგრამ ეს დადებითი ფაქტორი სუსტდება უფროს თაობათა წამავლობის გამო (საშუალო თაობები შიდსისგან წყდებიან და ბევრია ოჯახები, რომლებიც მხოლოდ ბავშვებისგან შედგება). აფრიკის მთავრობები არ ზრუნავენ ამ ბავშვებზე. პირიქით, მათ ზოგჯერ მემკვიდრეობის უფლებასაც კი არ აძლევენ. დასკვნა: აფრიკა თავის თავს ამ პირობებში ვერ უშველის. იგი მსოფლიოს დახმარებამ უნდა იხსნას.

ქაშმირი — გაუბედავი იპრა

რუკაზე (ჟურნალიდან THE ECONOMIST) კარგად ჩანს, რისგან და რისგან შედგება ქაშმირი: ნაწილისგან, რომელსაც მუსლიმური პაკისტანი მართავს, ნაწილისგან, რომელსაც ინდოეთი მართავს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანი ჰყავს, და ტერიტორიისგან, რომელიც ჩინეთის შემადგენლობაშია, მაგრამ ინდოეთი თავისად იჩემებს. სისხლისღვრა, რომელსაც მსოფლიო უკვე მრავალი წელია შესცქერის, ინდოეთის კუთვნილ ნაწილში ხდება (მას ეწოდება შტატი ჯამუ და ქაშმირი). მუსლიმანთა რაზმები, რომელთაც, — ასე ითვლება — პაკისტანი წვრთნის, აიარაღებს და თავის ტერიტორიაზე თავშესაფარს აძლევს, ებრძვიან ინდოეთის ადმინისტრაციას ამ შტატის ტერიტორიაზე, რათა იგი პაკისტანს შემადგენლობაში გადავიდეს. 14 წლის მანძილზე (მას აქეთ, რაც აქ დაიწყო ამბოხება ინდური მმართველობის წინააღმდეგ) მსხვერპლმა 30-70 ათასი სული შეადგინა.

სექტემბერში არჩეულმა ახალმა გუბერნატორმა ინდოეთის ამ შტატში რბილი ანუ დაშოშმინების პოლიტიკა დაიწყო, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. რისთვისაც თავის თანამემამულეებში სასტიკი დაგმობა დაიმსახურა. 24-25 ნოემბერს მოხდა მუსლიმანთა თავდასხმა ინდუისტურ ტაძრებზე და კიდევ 14 კაცი მოიკლა. ინდოეთის ხელისუფლებამ ამ ტერაქტის ორგანიზაციაში კვლავ პაკისტანის მხარეს დასდო ბრალი, მაგრამ პაკისტანმა თავისი მონაწილეობა უარყო. პოლიტიკის შერბილება, რომელსაც გუბერნატორმა მიჰმართა, იმაში გამოისატა, რომ მან გაათავისუფლა რამდენიმე დაკავებული ეჭვმიტანილი, შეანელა „ტერორიზმთან ბრძოლის აქტის“ მოქმედება შტატის ტერიტორიაზე და კურსი აიღო საგანგებო ძალების თანდათანობით დაქვემდებარებაზე ჩვეულებრივი პოლიციის ორგანოებისათვის. დღეს მას ბრალად სდებენ, რომ ამ პოლიტიკით ტერორისტების წახალისება მოახდინა. შტატის ზომიერი მუსლიმანური ოპოზიცია მონდომებულია, რომ შედგეს კონსტრუქციული ინდურ-პაკისტანური მოლაპარაკებები და კომპრომისი მოინახოს, თუმცა რაში უნდა მდგომარეობდეს ეს უკანასკნელი, ამაზე მსჯელობა არ ჩანს. დღევანდელი მდგომარეობა ჩიხურია და ყოველი ახალი შეტაკება, ბუნებრივია, ამწვავებს მას.

პარლამენტს სიახლე ელის

როდესაც ინგლისის მონარქი პარლამენტს სიტყვით მიჰმართავს, მისი ტექსტი წინასწარ დგება მინისტრებს უთანხმდება და შემდეგ უცვლელად წარმოითქმის პარლამენტის დარბაზში. მონარქი მას კითხულობს პერგამენტიდან, რომელიც შემდეგ ინახება და ისტორიას გადაეცემა. ეს ტრადიცია ისევე ძველია, როგორც ინგლისური პარლამენტარიზმის ისტორია.

მაგრამ ამჟამად ეს ტრადიცია კითხვის ქვეშ დგება. თუმცა პალატის ლიდერი რობინ კუკი საკითხს ასე სვამს: თუკი დედოფალს თავისუფლად შეუძლია თავისი მზა სიტყვა წაიკითხოს კომპიუტერული ეკრანიდან ან თუნდაც ავტომატური „საკარნახოდან“, როგორც სხვა ორატორები შვრებიან, რა საჭიროა მთელი ეს ძვირად ღირებული ხელით შრომა, პერგამენტი და მაღალი კალიგრაფიული ხელოვნება? ეს ლაშქრობა პარლამენტის მოდერნიზაციისათვის პირველი არ არის. ამ ოთხი წლის წინთაც ყოფილა ანალოგიური ცდა, მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია იმ პარლამენტარის წინააღმდეგობის წყალობით, რომლის ამომრჩევლებიც არიან პარლამენტში გამოყენებული პერგამენტის მწარმოებელნი. მართალია, მათი დარგია ფეხსაცმელის წარმოება, პერგამენტი კი მისი მხოლოდ „თანმხლები პროდუქტია“, მაგრამ იგი ისეთი პროდუქტია, რომლის გარეშეც ძირითად წარმოებას ფინანსური პრობლემები შეექმნება. 1998 წელს ფირმამ პარლამენტის აპარატიდან 67 ათასი ფუნტის ღირებულების დაკვეთა მიიღო.

THE GRANDIAN

შეეჭვება ყველაფერში შეიძლება

(ვადასხდნენ თუ არა ამერიკელები მთვარეზე?)

ასეთი ეჭვიც გაჩენილა. 1969 წელს რაკეტა „აპოლონი“ რომ დაჯდა მთვარეზე და ორმა ასტრონავტმა — ნილ არმსტრონგმა და ბაზ ოლდრინმა რომ მთვარის ზედაპირზე გაიარ-გამოიარეს, თან შეერთებული შტატების დროშა აღმართეს და ისტორიისათვის აუცილებელი სხვა რიტუალები შეასრულეს, ეს სულ ტყუილი იყო, რომლის აუცილებლობა საბჭოთა კავშირთან კოსმოსურ შეჯიბრებაში ქულების დაგროვების სურვილმა განაპირობაო. კადრები, რომელმაც მსოფლიო მოიარა, ჩვენს ერთადერთ თანამგზავრზე კი არაა გადაღებული, არამედ ამერიკის ერთ-ერთ კინოსტუდიაშიო. საბუთი? საბუთი სამნაირია. პირველი. დროშა ქარში ფრიალებს, მთვარეზე კი, როგორც ცნობილია, ატმოსფერო არ არსებობს და, მაშასადამე, არც ქარიო. მეორე. კადრში ვარსკვლავები არ ჩანსო. მესამე. არც არმსტრონგს, არც ოლდრინს არასოდეს არ ულაპარაკიათ თავისი თავგადასავლის შესახებ, რაც მთვარეზე გადაეხდომიათო. ამ ვერსიამ იტრიალა, რამდენიც კარგად შეკოწიწებულ ჭორს ეკუთვნის, და თავისი სამივე საბუთისთვის კონტრსაბუთები მოიმკო. პირველი. დროშას რომ მთვარის გრუნტში არჭობდნენ, ასტრონავტებს მისი ტარის ტრიალი მოუხდათ, რამაც ნაჭერს ბრუნვითი მოძრაობა მიანიჭა ბრუნვის ცვლადი მიმართულებით. რაკი მთვარეზე ატმოსფერო არაა, ეს მოძრაობა ვერაფერმა შეაჩერა და იგი დიდხანს გაგრძელდა, რაც ფრიალის ვიზუალურ ეფექტს იწვევს. მეორე. კადრებში უზარმაზარ მანათობელ ობიექტად ჩანს დედამიწა და მის ფონზე ვარსკვლავების გამოჩენა შეუძლებელია. მესამე. ასტრონავტებს კარგა ბლომად აქვთ ნალაპარაკევი და მონათხრობი თავისი იქაური თავგადასავლების შესახებ რაც მაშინდელ პრესაში უხვად არის აღბეჭდილი. ეს მესამე კონტრსაბუთი უფრო მარტივი და უფრო ძლიერი არგუმენტითაცაა შემაგრებული: რეჟისორმა ბარტ სიბრელმა რომ 72 წლის ასტრონავტს ბაზ ოლდრინს მოსთხოვა, ბიბლიაზე დაიფიცე, რომ მთვარეზე გაგივლიაო, ასტრონავტმა მას სახეში სთხლიშა.

THE GRANDIAN

პოსტსაბჭოთა — ბრიტანელთა თვალით

ამ ორიოდე წლის წინათ ჟ. THE ECONOMIST-მა, რომლის მასალებსაც ხშირად ვთავაზობთ „საქართველოს“ მკითხველს, დაწერა, „საქართველოდან რომ აღმოსავლეთისკენ იაროთ, სანამ იაპონიას არ მიაღწევთ, მეორე ასეთ დემოკრატიულ ქვეყანას ვერ ნახავთო“. არ გაგიკვირდეთ: ყოველივე ამ ქვეყნად შედარებითია! თანაც, ჟურნალმა იქვე კონკრეტულად განმარტა, რა ჰქონდა კონკრეტულად მხედველობაში: პრესის დამოუკიდებლობა და ცენზურის სისუსტე მასმედიაში. თურქმენეთის დღევანდელ ვითარებაზე იგივე ჟურნალი ცოტა სხვა სიტყვებით წერს. აი, რამდენიმე ციტატი:

„საფარმურად ნიაზოვი, რომელიც ცნობილია თავისი დიქტატორული მმართველობით და თავისი პიროვნების უცნაური კულტით... ამჯერად 62 წლისა, თურქმენეთის ხელისუფალია საბჭოთა დროიდან და ქვეყანას სტალინისებრი შეუვალობით მართავს. პრეზიდენტის უზარმაზარი ოქროს ქანდაკება აშხაბადის ცენტრში დგას მბრუნავ კვარცხლბეკზე, ისე რომ პირი მუდამ მზისკენ აქვს მიპყრობილი. წლის ზოგ თვეს სახელი შეეცვალა პრეზიდენტის ოჯახის სახელთა მიხედვით“.

„მრავალი ადამიანი შეიძლება უკმაყოფილო იყოს. ცხოვრება თურქმენეთში უფრო და უფრო ულიმლამო ხდება. პრეზიდენტმა დახურა მეცნიერებათა აკადემია და ქვეყნის მთავარი ოპერისა და ბალეტის თეატრი. განათლება შემოიფარგლა ცხრა წლით. უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს, თუმცა ქვეყანა, რომელსაც გაზის ასე დიდი რესურსები აქვს, მდიდარი უნდა იყოს. წლეულს ნიაზოვმა მოხსნა მრავალი მაღალი მოხელე თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტური ინფორმაცია

„ვეებზალოთ ტერორიზმისთვის“

ამ მასალას რომ ვაქვეყნებთ („თავისუფალი გადმოცემით), მკითხველს კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, რომ ბრიტანული „THE ECONOMIST“, რომელსაც იგი ეკუთვნის, მსოფლიოს ერთ-ერთი (და, ალბათ, ყველაზე უფრო) ინფორმირებული, ფრთხილი და ბრძენი ჟურნალია, რომლის აზრის გათვალისწინება ნებისმიერ საზოგადოებას — მათ შორის, ქართულსაც, — მხოლოდ სარგებლობას მოუტანს. ჟურნალი მსჯელობას იწყებს ბუშის ადმინ კომპლიმენტებით, რომელსაც, მისი სიტყვით, ვერ დასწამებთ ენერგიისა და მონდომების ნაკლებობას ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში და რომელმაც უკვე რამდენიმე დიდი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით: პირველი, მან ნათლად უთხრა ყველას, რომ მზადაა მსოფლიო რუკის გადათარგვისთვისაც კი იბრძოლოს, თუ ეს სჭირდება ამერიკელთა უსაფრთხოების დაცვას. მეორე, მან ომით მოშალა ალ-ყაიდას საყრდენი ავღანეთში; მესამე, იგი მზადაა ომითვე დაამხოს სადამ ჰუსეინი, თუ ეს უკანასკნელი იმ სახით არ დათმობს მასობრივი მოსპობის იარაღებს, რომლითაც სთხოვენ; მეოთხე, მან შეცვალა ამერიკელთა ნავადაცვო დოქტრინა, სახელდობრ, მასში შეიტანა „წინასწარი დარტყმის“ კონცეფცია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ცნება. და ბოლოს, მეხუთე, მან ნოემბრის შუაში ძალქმნა „საშინაო უშიშროების დეპარტამენტი“, რომელსაც ტერორიზმთან ბრძოლა დაეკალა. მიუხედავად ამისა, ჟურნალის სიტყვით, სიმშვიდისთვის საფუძველი არ არსებობს. ამერიკელთა მიღწევები ტერორიზმთან ბრძოლაში, ბოლოს-დაბოლოს, ხომ იმით შემოიფარგლება, რომ ბოროტმოქმედთა რამდენიმე (შესაძლო) საყრდენი მოშალეს და რამდენიმე დამფინანსებელი წყარო გადაუკეტეს! მთავარი ბრძოლა წინაა და ტერორისტთა დარტყმები არა მხოლოდ გარდუვალია (INCRITABLE), არამედ უშუალოდ მოსალოდნელიც (IMMINET). მრავალი დაზვერვითი სამსახური სწორედ ასე ფიქრობს. ბინ-ლადენი, როგორც ჩანს, ცოცხალია. ტერორისტები „უნარიანნი“ არიან და უკან დაუხვეველნი. მათი ქმედების მოტივაცია არის მისეული (რელიგიური) და არა ეროვნული (ალაჰის სახელით ებრძვიან ურწმუნო ხალხებს), ამდენად — გაუთელელიც. მათ ღიად აქვთ გაცხადებული, რომ მათი სამიზნე ქვეყნების სია გაფართოვდება: შეერთებული შტატების გარდა აქ შევლენ ავსტრალია, კანადა, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ბრიტანეთი. მათგან დაცვის ძირითადი ფრონტია არა საგარეო ოპერაციები, არამედ საშინაო. რატომ? — იმიტომ, რომ საზოგადოებები, რომლებსაც ტერორისტები ემუქრებიან, „თავისუფალი, ღია და რთული (კომპლექსური) დემოკრატიებია“, „მრავალგვარი და მობილური საზოგადოებებია, სადაც ადამიანები დიდი რაოდენობით იკრიბებიან სხვადასხვა საჯარო სისტემებში“, სადაც „წარმოების სისტემები და სასიცოცხლო მასალებით მომარაგების სისტემები უაღრესად მოწყლვადია“ შესაძლო იერიშთა პირისპირ“. ახალი დეპარტამენტის შექმნა — რომელიც, რაღა თქმა უნდა, დატვირთული იქნება ყველა იმ მინუსებით, რაც უზარმაზარ ფედერალურ წარმოებებს თან სდევს — პრობლემის გადაჭრა არაა. მთავარია თვით საზოგადოების, თვით რიგითი ადამიანის განწყობა, სურვილი, მისი მობილიზაციის ხარისხი და მისი აზრი იმაზე, რა ეთმობა უსაფრთხოების დასაცავად და რა არ ეთმობა. აქ კითხვა ორია. პირველი. უნდა გადაისინჯოს თუ არა ის ტრადიციული ბალანსი საჯარო თავისუფლებებსა და საყოველთაო უსაფრთხოებას შორის, რომელიც ზემოხსენებულ დემოკრატიებში ტრადიციულად არსებობს? მეორე: რამდენად დიდია ხიფათი, არის თუ არა იგი მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო?

ევროპას ტენდენცია აქვს, რომ მეორე კითხვას „ჯანსაღი ფატალიზმით“ უპასუხოს. ამერიკელები ცოტა არ იყოს ზედმეტად შიშობენო. 11 სექტემბრის ტერაქტი მანამდელი აქტებისაგან ხომ მხოლოდ მასშტაბით განსხვავდება და არა ბუნებითო! ამ აქტის 3000 მსხვერპლი ხომ ვერც რაოდენობით აღემატება, მაგალითად, ირლანდიის ამბების მსხვერპლს და შეუდარებლად ჩამორჩება საერთოდ დამნაშავეობისას! მაგრამ ეს ლოგიკა რეალისტური არ არის. ტერაქტების მასშტაბის ზრდას დიდი ხანია წინასწარმეტყველებენ სპეცსამსახურები, მაგრამ მათ ამერიკაში ყური არ ათხოვეს — სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ალმკვეთი ლონისძიებები, რომელსაც მათთვის „ყურს თხოვება“ საჭიროს გახდიდა, ფანტასტიკურად დიდი იყო. იგივე სამსახურები იმასაც ფიქრობენ, რომ ტერორისტები ქიმიურ, ბაქტერიულ და ბირთვულ იარაღს წაეტანებიან, და ეს პროგნოზი რეალურია, რადგან ერთადერთი რეალური არგუმენტი მის წინააღმდეგ — რომ ტერორისტებიც რეალისტები არიან და შედეგების გათვლა ძალუძთ — როგორც ზემოთ ითქვა, სინამდვილეს ვერ ასახავს. დასკვნა ნათელია: „ძველი წარმოდგენები ტერორიზმისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ ყირამალა უნდა დადგეს. ზომები, რომლებიც 90-იან წლებში ფანტასტიკურად ძვირი ჩანდა, ლეს უკვე გონივრულად გამოყურება“. ევროპელები ლეს ნაკლებ არიან ამ განწყობილებით და ამიტომ იმ რისკის ქვეშ არიან, რომ „მეტისმეტად გულარხეინნ“ (COMPLACENT) აღმოჩნდნენ.

ამერიკელებმა ერთის მხრივ 11 სექტემბრის ტრავმის გამო, მეორეს მხრივ თავისი პოლიტიკის „უფრო ღია ხასათის“ გამო ტერორიზმისაგან დაცვა თავისი შინაგანი პოლიტიკის ცენტრში მოათავსეს. ბრიტანელებს ეს არ უქნიათ. ისინი ლესაც, თავისი ტრადიციული პოლიტიკური კულტურის შესაბამისად, მოელიან, რომ „პარლამენტმა თვითონ იცის!“. მაგრამ ეს შეცდომაა. ფარულობა და პრობლემათა ცენტრალიზაცია მმართველი სტრუქტურების გარშემო კარგია ჩვეულებრივ ომებში, მაგრამ არა ტერორიზმთან ომში ლეს ძირითადი გათვლა უნდა მოახდინონ მოქალაქეებმა. მათ უნდა გადაწყვიტონ პირადადაც, თუ რისთვის არიან მზად თავის ყოველდღიურობაში, და ერთობლივადაც, თუ რა მსხვერპლად ულირს საზოგადოებას თავის დაცვა. „არავინ უნდა თქვას პანიკა. მაგრამ ტერორიზმთან ომი წლების მანძილზე გასტანს და ამიტომ თავრობები მზად უნდა იყონ ხალხების მობილიზაციისათვის. მათ უნდა მოეპყრან როგორც მოზრდილებს და ჯეროვანი ინფორმაცია მიაწოდონ, თუნდაც ამან რამდენმე ღამე უძილოდ გაატეხინოს მათ“.

ლამეჯი ლამეჯის შემდეგ

მსოფლიოში ლეს არ არის მომენტი, რომ სადაც დედამიწაზე 30 „მცირე“ ომი არ წარმოებდეს — „მცირე“ იმათთვის, ვინც შორიდან უყურებს, მაგრამ ძალიან დიდი იმათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება. ომის შემდეგ რჩება არა მხოლოდ გლოვა და სიმწარე, არამედ აუცილებელი საბრძოლო მასალებიც, რომლებსაც შემდეგში პოულობენ, ათამაშებენ, ფეხს დააბიჯებენ, გუთანს წამოსდებენ, ბარს მიარტყამენ, ექსკავატორის ციცხვს მოარტყამენ და ამ შეცდომების საზღაურს კიდურებით ან სიცოცხლით იხდიან. ქვეითის საწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების წინააღმდეგ ამ ბოლო წლებში მსოფლიოში დიდი კამპანია გაიშალა, რომელმაც საგრძნობი შედეგებიც მოიტანა იარაღის ამ სახის აკრძალვის მიმართულებით, მაგრამ ნაომარ მიდამოში „მშვიდობის“ დროს ადამიანთა დაზარალების თვალსაზრისით არანაკლებ სახიფათოა აუფეთქებელი საარტილერიო ჭურვები, რომლებსაც არა მხოლოდ შემთხვევით ეხებიან, არამედ შეგნებულადაც ჰკიდებენ ხელს, რათა დაშალონ, ლითონი ლითონად გაყიდონ და ასაფეთქებელი ნივთიერება — ასაფეთქებელ ნივთიერებად. ბრიტანული გაზეთი THE GRANDIAN ასახელებს რამდენსამე ნაომარ ტერიტორიას, სადაც ამ მოვლენას ადგილი აქვს — ნუბას (აფრიკა), კამბოჯას, ერითრეას, კოსოვოს, ნამიბიას, ერაყს, კონგოს, მაგრამ არ ასახელებს არც აფხაზეთს, არც მთლიანად საქართველოს, სადაც ნაომარი ველებისა და ტყეების გარდა ეს სასიკვდილო ტვირთი თავისი სამხედრო ბაზების ერთი ნაწილიდან უხალისოდ წასულმა ოკუპანტმა შეგნებულად დატოვა.

ჭურვი აფეთქდა. ვინ იმსხვერპლა, ჯერჯერობით არ ჩანს.

საარტილერიო ჭურვების განსაკუთრებულ სახიფათოობას გაზეთი გვიჩვენებს სტატისტიკიც, რომელიც გვუბნება, რომ მათ სიკვდილიანობის უფრო მაღალი პროცენტი მოაქვთ მარცხის შემთხვევაში, ვიდრე ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს, რომ მათი მსხვერპლის თითქმის 2/3 ბავშვები არიან.

გარდა პრაქტიკული მუშაობისა აუფეთქებელი ნაღმებისა და ჭურვების უვნებელსაყოფად გაზეთს აუცილებლად მიაჩნია საკანონმდებლო ბრძოლა, სახელდობრ, ფეთქებადი საბრძოლო მასალის გამოყენებელი მხარე საერთაშორისო კანონით, რომელიც უნდა იქნას შემოღებული, ვალდებულად უნდა იყოს აღიარებული, რომ ომის დამთავრების შემდეგ გააუვნებლოს თავისი გამოყენებული მასალის ნარჩენები, აგრეთვე დააფინანსოს შესაბამისი ხარჯები, რომელსაც სხვანი განევენ, და გადაიხადოს დაზარალებულთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. აგრეთვე უნდა იყოს კანონით დადგენილი, რომ გამომყენებელი მხარე ვალდებულია წარმოადგინოს სრული ინფორმაცია თავის მიერ გავრცელებულ (ნასროლ, ჩაწყობილ და გაფანტულ) ფეთქებად საბრძოლო მასალაზე, რომელიც კი შემდგომი აფეთქების შესაძლებლობას შეიცავს.

THE GRANDIAN

ბიოლოგიური ტერორიზმი

სექტემბრის ტერაქტამდე 6 დღით ადრე აშშ სენატში გაკეთდა განცხადება, რომ ბიოლოგიური იარაღით თავდასხმა ამერიკაზე უფრო საშიშია, ვიდრე რაკეტები. ცოტა ხნის შემდეგ ორ სენატორს და მრავალ ჟურნალისტს მიუვიდათ ჩვეულებრივი ფოსტით წერილები, რომელთა კონვერტებში ჯილეხის (ანთრაკის) სპორები იყო მოთავსებული. ხუთნი მოკვდნენ, ათეულები დაავადდნენ, ათასები პროფილაქტიკურად გაჭყიპეს ძლიერი ანტიბიოტიკებით. მაგრამ ბაქტერიოლოგიური იარაღი — თუნდ სახელმწიფო პროგრამისმიერი და თუნდ კერძო მოხალისისმიერი — ჯერჯერობით ბაქტერიულ საშიშროებათა ქვედა ეშელონს ეკუთვნის. ზედა ადგილები უჭირავს ჩვეულებრივი, ცნობილი დაავადებების ეპიდემიებს, როგორიცაა ინფლუენცია, რომელიც ყოველ წელიწადს მუსრს ავლებს ადამიანებს, შიდსი (დღისათვის — 22 მლნ მსხვერპლი) და სხვანი. შუა ადგილებში არაერთი ახალი (ადრე უცნობი) დაავადებაა განთავსებული. საშიშია ავარია ან საბოტაჟი, რომლითაც შეიძლება ინფექციამ ლაბორატორიიდან გამოაღწიოს, აგრეთვე დაავადებათა რეზისტენტობის (გამძლეობის) ზრდა წამლების მიმართ (მაგ. 12.XI.2002 დეტროიტელმა ექიმმა მოახსენა კოლეგებს სტაფილოკოკზე, რომელიც ყველაზე ძლიერ ანტიბიოტიკს უძლებს). ბიოლოგიური მიზანმიმართული იარაღის საშიშროებას არბილებს ისიც, რომ მისი მოხმარება რთულია და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, თვით ამინდის ჩათვლით.

მაგრამ „ნაკლებ საშიში“ არ ნიშნავს „არა საშიშს“. ბიოლოგიური აგენტები ქიმიურზე ბევრად უფრო საშიშია. პირველი ბიოლოგიური თავდასხმა იყო მონღოლთა მიერ ყამით მომკვდართა გვამების კატაპულტთ შეტყორცნა მტრის ციხე-სიმაგრეში. ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას კრძალავს 1925 და 1975 წლების შეთანხმებები, მაგრამ 17 სახელმწიფო მაინც ეჭვმიტანილია, რომ ამ იარაღს ინახავს, მათ შორის კუბა, ირანი, ერაყი, სირია, ლიბია, ჩრდ. კორეა და სუდანი. ჯერჯერობით არაა ცნობილი ფაქტი, რომ რომელსამე სახელმწიფოს ეს იარაღი რომელიმე ტერორისტისათვის მიეცეს.

ერაყიდან რომ 1998 წელს გაეროს ექსპერტები გამოაძევეს, მათ უკვე განადგურებული ჰქონდათ იქ ათასობით ლიტრი ჯილეხის და სხვა ბაქტერიების კულტურები, მაგრამ თვალსაწიერიდან დაკარგული იყო 17 ტონა იმპორტული გარემო, რომელიც ბაქტერიების გაზრდისათვის იხმარება. ფიქრობენ, რომ ერაყმა იმის შემდეგ შექმნა მოძრავი ლაბორატორიები და მუდმივი ლაბორატორიები შენიღბა საავადმყოფოებად და კერძო სახლებად. ითვლება, რომ იქ უკვე ექსპერიმენტები წარმოებს არა ბაქტერიებით, არამედ ვირუსებით.

განსაკუთრებულად საყურადღებოა ყვავილი — ერთადერთი ჭირი, რომელიც კაცობრიობამ რეალურად მოსპო. მაგრამ რუსეთი და ამერიკა შეთანხმებულნი არიან, რომ მისი ნიმუშები შეინახონ კვლევითი მიზნებით, და არის ეჭვი, რომ იგი სხვებსაც, სახელდობრ, „არამზადა რეჟიმებსაც“ შენახული აქვთ. ამერიკელებმა გათვალეს მისი გამოყენება სამი ამერიკული ქალაქის წინააღმდეგ და აღმოჩნდა, რომ 1 თვის მანძილზე ეს გამოიწვევს 1 მლნ დაღუპულს და ორ ამდენ ინფიცირებულს. ამიტომაც არაერთი სახელმწიფო დღეს ვაქცინის შექმნასა და მომარაგებაზე ზრუნავს. მაგრამ შედეგი აყოვნებს და ძალიან დააყოვნებს. თვლიან, რომ ლეს დედამიწაზე, სადაც 6 მილიარდი სული ცხოვრობს, სულ 200 მილიონი დოზა ვაქცინა არსებობს, ვადაგასულისა და გაყინულის ჩათვლით. გერმანიაში იგი არსებობს მოქალაქეთა ნახევრის სამყოფი, ისრაელში ყველა მოქალაქისა. ქვეყნები, რომლებშიც ცნობილია ამ ვაქცინის მომარაგების ფაქტი, თითებზე ჩამოსათვლელია, თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ამ მიმართულებით თავისი პოლიტიკის გაცხადებას არაერთი სახელმწიფო ერიდება (რა „ხარჯები“ ექნება საქართველოს კორუმპირებულ ხელისუფლებას ამ მიმართულებით, ადვილი წარმოსადგენია. „საქართველოს“ რედ.).

ბუნებრივია, რომ ბაქტერიოლოგიურ შეტევასთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულ მიხვედრას, რომ შემოჭრილია ინფექცია. ილუსტრაციისათვის საკმარისია ითქვას, რომ ამერიკაზე ჯილეხის სპორებით თავდასხმის ფაქტი შემთხვევით გახდა ცნობილი შედარებით ადრე, რადგან სენატის ერთი თანამშრომელი სპეციალურ კურსებგავლილი კაცი აღმოჩნდა.

დაავადებები, რომლებიც ბიოტერორისტებმა შეიძლება გამოიყენონ, დღეს სამ კატეგორიად იყოფა (პირობითად).

პირველი (ყველაზე საშიში და ყველაზე ადვილი გასავრცელებელი): ჯილეხი, ბოტულიზმი, ტულარემია, შავი ჭირი, ყვავილი, ჰემორაგული ციება. ესენი ადვილად ქმნიან პანიკას და მოითხოვენ ჯანდაცვის სისტემის სპეციალურ მომზადებას.

მეორე. ნაკლებ სასიკვდილო და უფრო ძნელი გასავრცელებელი: ბრუცელოზი, ცხენის ჭირი (GLANDERS), სალმონელოზი, კოლი 157, ქოლერა, აგრეთვე ცხოველებისგან გავრცელებული ფეხისა და პირის რიგი დაავადებები, აგრეთვე ბიოლოგიური ტოქსინები.

მესამე კატეგორიაში შედის ის დაავადებები, რომლებიც თვითონ ჩნდება და შეგიძლიათ მასობრივად გავრცელებადი სახე მისცეს: ენცეფალიტი, ყვითელი ციება, ჰანტავირუსი და სხვა.

ობიექტური ინფორმაცია

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვაგვარად დულან

დიქტატურით, დიქტატურის მემკვიდრეობით ან ორივეთი ტანჯული ქვეყანა მსოფლიოში არაერთია. საქართველოს ყოველი მათგანის — ან თითქმის ყოველი მათგანის — მაგალითზე ბევრი რამის შესწავლა შეუძლია. მკითხველს ვაწვდით ორ მასალას ჟურნალ THE ECONOMIST-ის მიხედვით, რომელიც ამ უბედურ დღეში მყოფ ქვეყნებს ეხება. ერთი მოგვითხრობს ირანზე, სადაც პატრიოტები სავსენი არიან სურვილით, თავისი ისტორიულად მაღალკულტურიანი ქვეყანა ცხოვრების დასავლურ ნორმებს დაუახლოონ, მეორე — ჰაიტიზე, რომელიც ისტორიულად ბევრს ვერაფერს დაიტრაბახებს, ხოლო დღეს ჩვენი ქვეყნისათვის კარგად ნაცნობ სენს — ნაკლოვანი ხელისუფლების წინააღმდეგ ნაკლოვანი ოპოზიციისა თუ „ოპოზიციის" ბრძოლას — ჰყავს შეპყრობილი.

მდგომარეობა ირანში

ირანის პირველი პირი, აიათოლა ხამანეი, როგორც ცნობილია, მყარი კონსერვატორია, პრეზიდენტი ხათამი — რეფორმისტი. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არსებული რეჟიმისა და კურსის შეცვლა უნდა. სასჯელები მკაცრია და დაპირისპირება — უკიდურესად მწვავე. ამ ორიოდე თვის წინ ერთ-ერთი თავისუფალი მოაზროვნე, პროფესორი ჰაშემ აღაჯარი, რომელიც კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა თეოკრატიული სისტემის მიმართ, გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს როგორც სარწმუნოებისაგან განდგომილს. ამ ფაქტმა გამოიწვია სტუდენტობის საპროტესტო მოძრაობა და დააკავეს მისი ოთხი ლიდერი, მაგრამ მეორე დღეს გამოუშვეს ეროვნული უშიშროების საბჭოს ბრძანებით, რომელშიც რეფორმისტებიც არიან, პრეზიდენტის ჩათვლით, და კონსერვატორებიც. გენერალურმა პროკურორმა შექმნა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც აღაჯარის ასცდება სიკვდილით დასჯა, თუ განცხადება დაწერა, რასაც ეს უკანასკნელი არ ეთანხმება, ხოლო უზენაესმა ლიდერმა — აიათოლა ხამანეიმ — მანამდე სცადა ჩაეცხრო მწვავე სიტუაცია იმით, რომ ბრძანა სასიკვდილო სასჯელის გაუქმება განურჩევლად იმისა, მისჯილი მიმართვას ხელს მოაწერს თუ არა. ამ კეთილი ნების ჟესტის საპასუხოდ ხათამის მთავრობაც იძულებული გახდა ხელი აეღო სტუდენტთა აქციის მხარდაჭერაზე და სტუდენტებმაც მოქმედების სავსებით მშვიდობიანი ფორმა აირჩიეს, სახელდობრ, ხელი აიღეს დემონსტრაციაზე ქუჩაში, რაკი ესმოდათ, რომ პოლიცია აღარ დაიცავს მათ აგრესიული ბრბოსაგან. სტუდენტობის ლიდერები მალე სასამართლოს წინაშე წარდგებიან ეროვნული უშიშროების ხელყოფის ბრალდებით.

მოპროტესტე ირანელი სტუდენტები

პარლამენტი აპირებს პრეზიდენტი ხათამის მიერ შეტანილი ორი კანონპროექტის განხილვას, რომლითაც იკვეცება აიათოლა ხამანეის ესტაბლიშმენტის ძალაუფლება. ხათამიმ იცის, რომ, თუ მან კანონპროექტები უკანვე გამოიტანა, ამით აღაჯარის გადარჩენის შანსები ძალიან გაიზრდება, მაგრამ იგი მაინც მაგრად დგას თავის განზრახვაზე. თუ კანონები მიიღო პარლამენტმა და შემდეგ უარყო აიათოლა ხამანეის მომხრე ზედა პალატამ, მაშინ პარლამენტი მოითხოვს რეფერენდუმს იმაზე, თუ მმართველობის რა ფორმა უნდა ირანის ხალხს. მაგრამ რეფერენდუმის დანიშვნას აიათოლას თანხმობა უნდა და ამით მოხდება რეფორმისტების მკვეთრი დაპირისპირება მასთან.

როგორც ჩანს, მოვლენები ამგვარად არ განვითარდება. მოსალოდნელია შეტევა რეფორმისტების წინააღმდეგ და ის ბრბოები, რომლებმაც 1999 წელს სტუდენტური მოძრაობა დაარბიეს, კვლავ ქუჩაში არიან. „რევოლუციური გვარდიის" ხელმძღვანელობაც აცხადებს, რომ „სცენაზე გამოვა", თუკი საშიშროება შეექმნება არსებული სისტემის საყრდენებს. აიათოლა ხამანეიმ და მისმა მომხრეებმა ნათლად გამოხატეს თავისი პოზიცია, რომ ასეთ „საშიშროებად" მათ მიაჩნიათ მოპროტესტე სტუდენტებიც, — მოძრაობის ეს ავანგარდი — რომელთაც არც რელიგიური დიქტატურა უნდათ და არც „რელიგიური დემოკრატია", რომლის დამყარებაც უშედეგოდ სცადა რეფორმისტმა პრეზიდენტმა. სტუდენტები აპირებენ ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოაცხადონ.

ჟურნალს არ მიაჩნია, რომ სტუდენტები შეძლებენ მოძრაობას დიდი მასშტაბი მისცენ. რადგან „ირანელთა უმრავლესობას, რაც უნდა უკმაყოფილონი იყონ არსებულით, არ ეხალისება მოვლენებში ჩაბმა, მათ ურჩევნიათ „შორს იყონ ცეცხლის ხაზისაგან" დღეს, როცა „ირანში არსებული პოლიტიკური ბრძოლა, როგორც ჩანს, თავის კულმინაციას უახლოვდება".

მდგომარეობა ჰაიტიზე

ჰაიტი ის ქვეყანაა, რომელში ათწლეულთა მანძილზე იბატონა დიქტატორთა დინასტიამ და რომელიც მთელი დასავლეთისათვის დაუფარავი სისხლიანი რეჟიმის განსახიერებად იყო ქცეული. მისი დღევანდელი მმართველი არისტიდი იმ დიქტატორთა მაგიერია. მისი მმართველობა, ამგვარად, პოლიტიკური თავისუფლების გამარჯვების ლოზუნგით იქნა შემოღებული დემოკრატიული გარე ძალის დახმარებით. ამავე დროს მისი სახელი გაიგივებულია ჰაიტის დამოუკიდებლობასთან. მიუხედავად ამისა, მის მმართველობას უმწვავესი პოლიტიკური პრობლემები აქვს.

2000 წელს აქ არჩევნები ჩავარდა (ქვეყანამ ვერ მოაბა თავი მათ ჩატარებას) და ამით სახელმწიფომ 50 მილიონი დოლარის ღირებულების სასიცოცხლო საჭირო დახმარება დაკარგა. 17 ნოემბერს ვინმე ჰიმლერ რებუ, „გადატრიალების გამოცდილების მქონე ოფიცერი" გაუძღვა 15 ათას მოპროტესტეს და არისტიდი აიძულა გადადგომაზე ხელი მოეწერა. ქუჩის შეჯახებაში მოკვდა 4 ჰაიტელი. ორი დღის შემდეგ ქუჩაში არისტიდის მომხრენი გამოვიდნენ და მდგომარეობა აღადგინეს. არისტიდი ერთხელ უკვე ემსხვერპლა გადატრიალებას და ამერიკელებს მისი ძალაუფლების აღდგენა მოუხდათ. ამჯერად ისინი ფხიზლად დარაჯობენ სიტუაციას სხვათა შორის იმიტომაც, რომ ჰაიტიდან ფლორიდაში ლტოლვილთა მასობრივი გადასვლისა ეშინიათ. მაგრამ ხალხის უკმაყოფილება იზრდება, ხოლო მმართველი, ოპოზიციონერთა თქმით, არ ერიდება ადგილობრივი ბანდების გამოყენებას მოპროტესტეთა დასარბევად იარაღის ძალით. როცა ამერიკელებმა განაცხადეს, რომ დახმარება აღდგება, თუ შეიქმნება არჩევნების ჩამტარებელი საბჭო, ხალხმა ამოისუნთქა. მაგრამ ხელისუფლებამ საბჭოს შექმნა ჩაშალა. მისი მართვის მეთოდები დიქტატორულია და ამ ცოტა ხნის წინ მან ფულად ანაზღაურებაზეც კი უარი უთხრა ოპოზიციის ლიდერებს, რომელთაც სახლები დაუწვა. მაგრამ ანალიტიკოსები მაინც ფიქრობენ, რომ ხალხი არისტიდს არ გადაადგებს, რადგან მასში მაინც კიდევ დამოუკიდებლობის მედროშეს ხედავენ.

„საძარცველოს" რედაქციისაგან. *როგორც ვხედავთ, არც დიქტატორის უხარისხობას, არც საზოგადოების უუნარობას, რომ თავისი თავის პოლიტიკური ორგანიზება მოახდინოს, საზღვარი არა აქვს. რომელსა ყურნი ასხენ სმენად, ისმინენ!*

შვეიცარიელები და ყცხოელები ჰოლანდიელები და ყცხოელები

შვეიცარიელთა განწყობილება: „ჰუმანიზმი" თუ განკითხვის შიში? ჰოლანდიელთა განწყობილება: გეტოში ხომ არ ვართ!

შვეიცარიელებს, ისევე როგორც ყველა სხვა ზეგანვითარებული ქვეყნების მკვიდრ მოსახლეობას, ეშინიათ, რომ მათ „უცხოელები წალეკავენ". არცაა გასაკვირი. შვეიცარიის მაცხოვრებლებში დღეს ერთი მეხუთედი უცხოელებია, მაგრამ შვეიცარიელებს მდგომარეობას მათი წარსული ურთულებთ. ჰიტლერის დროს, როცა „ჰოლიკასტი" ანუ ებრაელების დევნა ზენიტში იყო, მათ პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრეს ებრაელ ლტოლვილებს და თუმცა შვეიცარიის მთავრობამ შემდეგში ბოდიში მოიხადა ამ ნაბიჯის გამო, მას ამ ეპიზოდს დღესაც წამდაუწუმ ახსენებენ, როცა კი სიტყვა მიგრაციულ პოლიტიკაზე ჩამოვარდება.

შვეიცარიელმა ამომრჩეველმა უკვე ორჯერ — 1970-იან წლებში და 2000 წელს — უარი უთხრა მემარჯვენეებს მათს წინადადებაზე იმიგრაციის შეზღუდვის შესახებ (ძირითადად, საქმე ეხებოდა იმიგრაციას იტალიიდან). 1996 წელს შვეიცარიელების 59%-მა უარყო სარეფერენდუმო წინადადება იმიგრაციის კანონთა გამკაცრების შესახებ. მაგრამ წინადადების ავტორებს იმედი აქვთ, რომ ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ამომრჩეველი უცხოელთაგან გაკიცხვას შეუშინდა. ამჟამად ამ მიდგომის მომხრეთა რაოდენობა ძალიან ცოტათიღა აღემატება იმათსაც, ვინც შემოსული უცხოელების წყალობით ფულს შოულობს, ანუ უანგაროდ მომხრე ამ „ჰუმანისტურ" დამოკიდებულებას ძალიან ცოტაღა ჰყავს. „მემარჯვენეთა" წინადადებებს დღეს ასეთი სახე აქვს: უარი ვუთხრათ თავშესაფრის მაძიებლებს, უკლებლივ ყველას, იმ შემთხვევაში, თუ ისინი შვეიცარიაში ისეთი მესამე ქვეყნის გამოვლით არიან მოსულნი, რომელშიც მათთვის „უსაფრთხო" სიტუაცია არსებობს (ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, გერმანია). გასულ წელს შვეიცარიამ თავშესაფრის მაძიებელთა მხოლოდ 12% მიიღო.

ზემოხსენებულ წინადადებათა ავტორის — მემარჯვენე „სახალხო პარტიის" — რეიტინგი იზრდება. ეს იმას მოწმობს, რომ შვეიცარიელები, გულში მაინც, შემომსვლელთათვის კარის ფართოდ გაღების წინააღმდეგნი არიან.

თუმცა ჰოლანდიაში პოლიტიკური ელიტა ერიდება ლაპარაკს რასის, ეროვნების, თვით კულტურული კუთვნილების საკითხებზეც კი, საარჩევნო კამპანიების მთავარ თემებად მაინც უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება სამი: დანაშაულის კატასტროფული გავრცელება, იმიგრაცია და შემოსულთა ინტეგრაცია, თუმცა, THE ECONOMIST-ის სიტყვით, ასეთი კამპანია ფრიად ულამაზოა (UGLY), იგი რეალურია. სკოლიდან რომ ბავშვები გამოდიან, იმათგან სამში ერთი თუა თეთრკანიანი და ქერა. ე. წ. საშუალო კლასის აუდიტორიაში, რომელიც ყოველმხრივ ნორმალური ახალგაზრდებისაგან შედგება, ორატორი შეშფოთებული უცნობიერებს მსმენელებს, რომ ახალგაზრდა, თეთრი ჰოლანდიელი მამაკაცი იშვიათობად ქცეულა. „არც ერთი გეტოში არ ცხოვრობთ!" — ახსენებს იგი შეშფოთებულ მსმენელებს. ფრიად შემთხვევითმა პოლიტიკოსმა ფორტუნმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოკლეს, უნიკალურად სწრაფ ალმავლობას ამომრჩევლის თვალში მხოლოდ იმით მიაღწია, რომ იმიგრაციის რადიკალური შეზღუდვის ლოზუნგი წამოაყენა. ისიც ვერ ბედავდა ყოველთვის იმის თქმას, რაც უნდოდა: იგი ლაპარაკობდა იმიგრირებული თურქების, მაროკოელების, სურინამელების, დასავლეთ აფრიკელების და სხვა უცხოელების მარტოოდენ კულტურულ (ანუ ყოფა-ცხოვრებით) შეუთავსებლობაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან, და არა ეთნიკურზე, ან ეროვნულზე, ან, მით უმეტეს, რასობრივზე. ფორტუინი, ჟურნალის სიტყვით, მკვდარია, მაგრამ მისი იდეები ცოცხალია, რადგან მათ რეალურად არსებული ვითარება კვებავს. დანაშაულობა (ხალხის თვალში მაინც) დაკავშირებულია იმიგრაციასთან და ამ შეხედულებას საფუძველიც აქვს, რამდენადაც, მაგალითად, როტერდამში ქუჩის დანაშაულთა 80% შემოსულებისაა, განსაკუთრებით — თავშესაფრის მაძიებლების. უცხოელებში შედარებით ინტეგრირებულნი არიან, ხალხის აზრით, თურქები, ნაკლებად — მაროკოელები, ანტალიელები და სხვანი. სხვადასხვა პოლიტიკოსთა რეკომენდაციებია: შემოსვლის შეჩერება, შემომსვლელთათვის გარედან ცოლებისა და ქმრების შემოყვანის აკრძალვა, სავალდებულო კურსები ენის შესასწავლად, დანაშაულჩადენილთათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა და გასახლება (რასაც კონსტიტუცია არ დაუშვებს), იმისთვის ბრძოლა, რომ იმიგრანტთა შვილების 50% მაინც საბავშვო ბაღში მოხვდეს და ინტეგრირებად მოქალაქედ გაიზარდოს. სახელმწიფო აფინანსებს 37 ისლამურ სკოლას ჰოლანდიური სულისკვეთებით. მეჩეთები არაა „სეპარატიზმის" ბუდეები. უფრო, პირიქით, ზოგი იმიგრანტი ბავშვი უკვე კარგად სწავლობს (განსაკუთრებით, გოგოები). შემოსულთა მისწრაფება ინტეგრაციისკენ დიდია. ეს ფაქტია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფორტუინისეულ „იდეებს" რეალური საფუძველი აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

(გაგრძელება. დასაწყისი №15, 16)

საქართველო – პოლიტიკური უდაბნო

საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ყოველთვის მისი გეოგრაფიული მდგომარეობით იყო გამოწვეული. იგი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ ქვეყნად ან ერთგვარ დერეფნად ითვლებოდა. ამის გამო მრავალი სახელმწიფო ჩვენს დაპყრობას ცდილობდა, ზოგი კი მეგობრობას გვთავაზობდა. ასეთ შემთხვევებში ისინი ცდილობდნენ გაეგოთ, თუ რა მიზნები და ამოცანები გვქონდა მათ მიმართ და რა მოთხოვნები შეიძლებოდა წამოგვეყენებინა. იმის გამო, რომ დღეისათვის ჩვენ თვითონ არა გვაქვს ნათელი მიზნები და ამოცანები, ჩვენთან ურთიერთობის მოსურნე სახელმწიფოებს ნათელ მოთხოვნებს ვერ ვუყენებთ. ისინი ჩვენი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ცდილობენ თავისი მიზნების განხორციელებას. ხშირად კომიკური და სავალალო მდგომარეობა იქმნება, ძლიერი სახელმწიფოები გვთავაზობენ საეჭვო გარიგებებს, რაც თითქოს დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ასეთი თანამშრომლობის საფასურად კი ისინი ჩვენგან მორჩილებას ითხოვენ.

დეგ საქართველო ახალი ამოცანის წინაშე დადგა. დამოუკიდებელი ქვეყანა თავისუფალ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამისათვის საჭირო იყო თავისუფალი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს აშენების გეგმის შედგენა და მისი რეალური განხორციელება. ამისათვის ქართველი ერი მართლაც არ იყო მომზადებული. ეს არც არის გასაკვირი, დამოუკიდებლობის მოპოვების დროს არავინ არ არის მზად თავისუფლებისათვის. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა კარგად იცოდნენ, როგორც უნდა დაენგრიათ კომუნისტური წყობა, მაგრამ მათ არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა აეშენებინათ თავისუფალი ეროვნული სახელმწიფო. ისინი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. ხელისუფლების წევრებს შორის გაჩნდა წინააღმდეგობა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა: სახელმწიფოს მართვის სისტემა, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა და სხვა. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ეროვნული ძალების გაერთიანება, რომლებიც თანამშრომლობდნენ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში. მალე ჩამოყალიბდა ოპოზიცია. მათ მომზადეს

ხელისუფლების დამხობის გეგმა, რომლის განხორციელებაში მათ გარეგანი ძალები დაეხმარნენ.

ძალით, არაკანონიერი გზით მოსულმა ხელისუფლებამ დაიწყო ცალკეული, კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა და ეროვნული ორიენტაცია დაკარგა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მან ეროვნული ხელისუფლება დაამხო.

საქართველოში დღეისათვის უმძიმესი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ჩვენს ქვეყანას არა აქვს ფუნდამენტალური ეროვნული ამოცანა, რის გარშემო შესაძლებელი იქნებოდა ქართველი ერის გაერთიანება. ხელისუფლება მუშაობს ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შესახებ მის წევრებს, სხვადასხვა პარტიებს და სოციალურ ჯგუფებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ასეთი საკითხების რიცხვი თანდათან იზრდება და შესატყვისად მრავლდება მათი დამცველი დაპირისპირებული ჯგუფები.

ქართველი ერი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გაერთიანდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველი ერის გაერთიანება შეიძლებოდა თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში, მაგრამ ხელისუფლებამ უარი თქვა ამ ამოცანაზე. ამის გარეშე კი შეუძლებელი აღმოჩნდა დამოუკიდებელი ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება. ქართველი ერი დაიშალა სხვადასხვა საკითხებზე განსხვავებული პოზიციების დამცველ ჯგუფებად. მან დაკარგა ფუნდამენტალური ეროვნული მიზანი; იგი გადაიქცა პოლიტიკურ უდაბნოდ, სადაც მცხოვრებ ერს არა აქვს საკუთარი ეროვნული ამოცანა. ამიტომ ამ პოლიტიკურ უდაბნოში უცხო სახელმწიფოები ადგილობრივი ეროვნული მიზნების გათვალისწინების გარეშე ებრძვიან ერთმანეთს და ცდილობენ თავისი მიზნების განხორციელებას. საქართველო, როგორც თავისუფალი ეროვნული სახელმწიფო, ვერ ჩამოყალიბდა.

პოლიტიკური უდაბნოს გამოცოცხლების და აყვავების გზა

საქართველომ დმოუკიდებლობა მოიპოვა. მისი შემდგომი ამოცანა იყო თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა. ერი თავისუფალ ეროვნულ სახელმწიფოდ რომ ჩამოყალიბდეს, მან თავისი ფიზიკური და სულიერი ძალები ერთი მიმართულებით უნდა აამოქმედოს. იგი აქტიურ სუბიექტად უნდა ჩამოყალიბდეს.

ერმა, როგორც ცოცხალმა და სულიერმა ფენომენმა, უნდა დაიკმაყოფილოს თავისი სასიცოცხლო მოთხოვნილებები, დააგროვოს გამოცდილება და შექმნას კულტურა. მას ჰყავს ხალხი, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე არის დასახლებული. მათ უნდა დაიცვან თავისი ტერიტორიული მთლიანობა, თავისი საქმიანობა, გაანვითარონ თავისი ენა, ეროვნული ცნობიერება და კულტურა; ასეთი ამოცანის განხორციელებას მაშინ ახერხებს, როცა იგი ეროვნული სახელმწიფოს სახით ყალიბდება. ხელისუფლება ამ მიზნებს და ამოცანებს წარმატებით ახორციელებს, როდესაც ფართოდ რთავს თავის ძალებს ამ საქმიანობაში. ამ გზით იგი დემოკრატიულიც ხდება.

ქართველმა ერმა ერთსულოვნებას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში მიაღწია. საჭირო იყო თავისუფლებისათვის ბრძოლის მეორე ეტაპზე გადასვლა, თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენება, მაგრამ საუბედუროდ, ხელისუფლებამ არაეროვნული ორიენტაციის გამო უარი თქვა ამ ამოცანაზე. ქართველ ერს აღარ აქვს საერთო ფუნდამენტური მიზანი, რომლის გარშემო ის გაერთიანდებოდა. ქართველი ერი დაიშალა სხვადასხვა საკითხებზე საპირისპირო პოზიციების მქონე ჯგუფებად.

დღეისათვის ქართველი ერის ამოცანაა, აირჩიოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ეროვნულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს მშენებლობას დაიწყებს. ასეთი საერთო მიზანი გამოაცოცხლებს საქართველოს პოლიტიკურ უდაბნოს. ასეთ ვითარებაში, სახელმწიფოები, რომლებსაც ჩვენს რეგიონში გარკვეული მიზნები აქვთ, ანგარიშს გაუწევენ ჩვენს მიზნებსა და ამოცანებს. მათთვის ჩვენი ქვეყანა აღარ იქნება პოლიტიკური უდაბნო, უსუბიექტო და უპიროვნო სივრცე, რომლის მიზნებსა და ინტერესებს ანგარიში არ უნდა გაეწიოს. შინაგანი დაქსაქსულობის დაძლევის, უცხო სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას საქართველოში ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა წარმოადგენს. საქართველო უნდა იქცეს სახელმწიფოდ, რომელსაც თავისი ეროვნული მიზნები ქვს და რომელთა მიღწევისათვის ქართველი ერი აქტივობს.

ზოთა ნადირაშვილი

ჯანმრთელობა

ჰაიმორიტის მკურნალობა გაწმენდის გზით

ჰაიმორიტი აქვს თითქმის ყველა ადამიანს. ჩვენი ორგანიზმი რომ გამჭვირვალე ყოფილიყო, ბევრი ჩვენთაგანი ჰაიმორის წიაღებში და შუბლის ძვლის ქვეშ ნახავდა 1-2 ჭიქა ჩირქს, რომლის არსებობის შესახებაც შეიძლება წარმოდგენა არც კი ჰქონოდა და არც კი ეფიქრა, რომ მისი ხშირი თავის ტკივილები, მხედველობის, სმენის, ყნოსვის, მეხსიერების დაქვეითება, გაუწონასწორებელი ფსიქიკა სწორედ თავის შიგნით დაგროვილ ჩირქთან იქნებოდა დაკავშირებული. რატომ ვამტკიცებთ, რომ ჰაიმორიტი აქვს თითქმის ყველა ადამიანს? ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ გაცივებულიყოს, არ ჰქონოდეს სურდო და ცხვირიდან გამონადენი. არ არსებობს ადამიანიც, რომელსაც ამ დროს თუნდაც ერთხელ მაინც ცხვირი მოეხოცოს ან საზოგადოებაში ყოფნის დროს ცხვირის ცემინება არ შეეკავებინოს. ყოველი ასეთი მოქმედება იწვევს გაცივების დროს არსებული ლორწოს, გამონადენის მოხვედრას ჰაიმორის და შუბლის ძვლის წიაღებში. ეს ლორწო ადამიანის გამოჯანმრთელების კვალდაკვალ ნაწილობრივ გარეთ გამოდის, მაგრამ თავის ქალას ძვლებს შიგნით მაინც რჩება მისი გარკვეული ფენა, რომელიც თანდათან გადადის თხევადი მდგომარეობიდან მყარში – ქსეროგელში და ქმნის მყარ ქერქს. ასეთი „ქერქები“ მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში დიდი რაოდენობით წარმოიქმნება. ყოველივე ამის შედეგად კი თავის ქალას ძვლების შიგნით არსებული ღრუები მთლიანად ივსება მყარი მასით. თავიდან ეს მყარი მასა „წყნარად ზის“, მაგრამ ის ამავე დროს შესანიშნავი ნიადაგია პათოგენური მიკროორგანიზმების გასამრავლებლად. საკმარისია ხელშემწყობი პირობები (გაცივება, გადაღლა, იმუნიტეტის დაქვეითება და ა. შ.) და ეს მიკროორგანიზმები გააქტიურდებიან, წარმოქმნიან სხვადასხვა ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებიც მოქმედებენ მხედველობაზე, სმენაზე, ნერვულ სისტემაზე. განა აქვს აზრი ამ პირობებში ვუმკურნალოთ ნებისმიერი მეთოდით შესაბამის დაავადებებს, თუკი ამ დაავადების მიზეზი ჩირქი, ლორწო, გარეთ არ იქნა გამოტანილი?

გამოსავალი ერთია: აბსოლუტურად ყველა ადამიანმა, რომელიც თავის თავს შეატყობს, რომ სმენა დაუქვეითდა ან მხედველობა გაუუარესდა ან მეხსიერებას უჩივის ან კიდევ ფსიქიკა აქვს დარღვეული ან აწუხებს თავის ტკივილები – აუცილებლად უნდა გაიწმინდოს ჰაიმორის და შუბლის ძვლის ქვეშ მდებარე წიაღები, რაც შემდეგნაირად ხორციელდება.

განწმენდის მეთოდიკა: პროცედურა შედგება 3 ეტაპისაგან: ა) დარბილება, ბ) გახსნა, გ) გამოდევნა.

ა) „დარბილება“. რადგანაც ჩვენ გამოსადენი გვავს მყარი ქსეროგელური მასა, ცხადია ის ძნელად ხსნადი მდგომარეობიდან უნდა გადავიყვანოთ ადვილად ხსნადში. ამისათვის უნდა ჩავატაროთ ადგილობრივი პროცედურა: „დარბილება“, რომელიც ხორციელდება თავის აბაზანით და თავის ორთქლით დამუშავებით.

თავის აბაზანა. ვიღებთ ორ თასს. ერთს ავავსებთ თბილი წყლით, მეორეს კი ოთახის ტემპერატურის წყლით. პირველ თასში ჩავყოფთ თავს 5-7 წუთით ისე, რომ თავის მხოლოდ თმიანი ნაწილი იყოს წყალში მოქცეული. შემდეგ სწრაფად ჩავყოფთ თავს 15-30 წამით ცივი წყლით სავსე თასში. ასე ვიმეორებთ 2-3-ჯერ. პროცედურის ბოლოს თავს კარგად ვიმშრალებთ და ვრჩებით თბილ შენობაში. პროცედურა უნდა ჩავიტაროთ კვირაში 2-3-ჯერ, სასურველი შედეგის მიღწევამდე. ეს პროცედურა ხელს უწყობს აგრეთვე თავის ტვინის სისხლძარღვების ჯანმრთელ, ელასტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებას და ამასთანავე ამაგრებს თმის ძირებს.

შენიშვნა: თვალის სისხლძარღვები რომ არ დაზიანდეს, ამიტომ წყალში სახის ჩაყოფა არ შეიძლება.

თავის ორთქლით დამუშავება: ვდგამთ ორ სკამს. მაღალზე – ვჯდებით, უფრო დაბალზე კი ვათავსეთ ჭურჭელს, რომლიდანაც ამოდის ორთქლი. ორთქლის წყარო შეიძლება იყოს უბრალოდ მდუღარე წყალი ან ახლახან კანიანად მოხარშული კარტოფილი. სასურველია, თუკი მდუღარე წყალს დავუმატებთ 1 სუფრის კოვზ დაფქულ კამას (კამაში შემავალი ეთერზეთები ყველაზე კარგი გამხსენელებია).

ვშიშვლდებით წელს ზევით, ორთქლის წყაროს ვდგამთ დაბალ სკამზე, მაღალზე ვჯდებით და შემოვიხვევთ შალის გადასაფარებელს. დავხუჭავთ თვალებს, ვაღებთ პირს და ორთქლის ნაკადს მივმართავთ თავისკენ.

პროცედურის ხანგრძლივობა 15-20 წუთია. კვირაში 2-3 პროცედარის მეტის ჩატარება არაა მიზანშეწონილი. ყოველი პროცედურის შემდეგ სასურველია გრილი აბაზანის მიღება, თმის დასველების გარეშე, 10-30 წამი. შემდეგ სხეულის გასახურებლად ინტენსიური მოძრაობა, სხეულის კარგად შემშრალება და თბილად ჩაცმა.

ბ) „გახსნა“. მას შემდეგ, რაც თავის წყლიანი აბაზანით ან თავის ორთქლით დამუშავებით ან ორივე ხერხით ერთად დავარბილეთ შუბლის ხძვლის ქვეშ და ჰაიმორის ღრუში მოთავსებული გამკვირვებული ლორწო, საჭიროა ამ ლორწოს დამატებითი გახსნა, რაც ორი მეთოდით შეიძლება განხორციელდეს:

მეთოდი №1. ვიღებთ 1 ლიტრიან ქილას, რომელსაც 1/3-1/4 მოცულობამდე შევავსებთ პიტნის, თამბაქოს და ევკალიპტის (თანაბარი რაოდენობით) მშრალი ნარევით, ვასხამთ ზემოდან ზეითუნის ზეთს. ვინახავთ ბნელ ადგილას. ვაჩერებთ მანამ, სანამ ნარევი არ გახდება მწვანე ან ყავისფერი.

ზემოთაღნიშნულ მცენარეებში ეთერზეთები დიდი რაოდენობითაა, რაც განაპირობებს ჰაიმორიტის, ფრონტიტის, ადენოიდის, პოლიპების, ცხვირის ძგიდის გამრუდების შედეგად თავის არეში დაგროვილი მყარი მავნე ნივთიერებების კარგ გახსნას.

მას შემდეგ, რაც ხელთა გაქვს ზეითუნის ზეთზე დაყენებული ზემოაღნიშნული ნარევი, ვწვებით, თავს გადავწევთ ისე, რომ ცხვირის ნესტოები მიმართული იყოს ზევით. ყოველ ნესტოში ვუშვებთ 20-25 წვეთს. ჩაწვეთების შემდეგ იმავე მდგომარეობაში ვრჩებით 3-5 წუთი.

ჩაწვეთება რეკომენდირებულია დილით და საღამოს, ძილის წინ, ამავე დროს ძილიც უმჯობესდება. თუ შუა ყურის ანთება გვაქვს ჩავიწვეთოთ ყურში 2-3 წვეთი, შემდეგ კი ჩავიდოთ ბამბა.

მეთოდი №2. თუკი ზემოთაღნიშნული მცენარეები არა გვაქვს, მაშინ ვიღებთ საკუთარ ახალ შარდს და ვიწვეთებთ ყოველ ნესტოში 10-15 წვეთს.

გ) „გამოდენა“. თუ სწორად შეასრულებთ წინა ეტაპებს, ცხვირიდან ლორწო, ჩიქრი და ა. შ. იწყებს დენას. გამოდენას ხელს შევუწყობთ, თუ დამატებით მივმართავთ ცხვირის გაწმენდას შარდით ან მარილიანი წყლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ისტორია

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №8,9,10,11,12,13,14,15,16. 2002 წ

3. 6. შონია
ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

პლასტოვი ლაპარაკობდა. ხრუშჩოვი ცდილობდა, შეეწყვეტინებინა, შენიშვნები ჩაურთო, ის კი შემობრუნდა:

„ასე, დიახ, დიახ, აი, მეც მაგას ვამბობ“.

— მიბრძანეს ვიღაც მწველავის დახატვა. მე გავხედე მას ანფასშიც, პროფილშიც, მაგრამ მასში არაფერი იყო არც გმირული, არც რომანტიკული, არც რეალისტური. ნუ, როგორ უნდა დამეხატა?

ხრუშჩოვი აწყვეტინებს:

— მე თქვენს ადგილზე ისე დავხატავდი, რომ ეს მწველავი გმირულიც ყოფილიყო და რომანტიულიც. აი, რა არის ხელოვნება. პლასტოვი ყურზე ხელს იდებს: (ის მოიყრუებდა, თუ ძალათ მთლად იყრუებდა თავს) აა? ნუ, დიახ, აკი ვამბობდი ნიკიტა სერგის ძევ, არა მასში არ არის არც რომანტიკული, არც გმირული. მისი დახატვა შეუძლებელია.

ხრუშჩოვი კვლავ:

— მე ვამბობ, რომ ის შეიძლება დაიხატოს...

პლასტოვი:

— აი, მეც ვამბობ, მასში არაფერი არ არის, ნიკიტა სერგის ძევ, სამაგიეროდ მახსოვს ერთი მეზობელი ქალი დავხატე — ომის დრო იყო. თხებს მწყემსავდა. განმაცვიფრა მისი სახის ტრაგიკულმა გამომეტყველებამ. ვხატავ ერთი დღე, ორი, სამი. დრო ცოტაა — დღისით თხებს მწყემსავს, თხებს მორეკავს და მალე უკვე ბნელდება. ცოტა გაჭიანურდა პორტრეტი. აი, ერთხელ მეკითხება, კიდევ დიდი ხანი უნდა ხატო პორტრეტი? მე ვეუბნები: „ოთხი დღე“. ის ამბობს: „კვირამდე იქნებ არ მოვკვდე როგორმე“. და მართლაც მოკვდა.

დარბაზიდან ეკითხებიან: რისგან? ის ამბობს — შიმშილისაგან.

დაიწყო სოფლის სურათის აღწერა. თან წარამარა კვერს უკრავდა ხრუშჩოვს. „გმადლობთ ნიკიტა სერგის ძევ“. და თან ლაპარაკობდა: კლუბი არ არის, სპირტს ცისტერნებით ხდიან. ყველანი უცოდინარები არიან, ხელოვნებაში არავის არაფერი გაეგება. ეს თათბირები არავის ჭირდება. თანდათან ისეთი სურათი დახატა, რომ შიშმა აგვიტანა... მისი მონათხრობიდან შედარებით თვით „ვოლოგდის ქორწილი“ და „მატრენას ეზოც“ იდეალად მოგვეჩვენა.

ის ჰყვებოდა, როგორ მუშაობდა უსპენსკის ილუსტრაციებზე, როგორ მივიდა სამკალში, გლეხების ჩასახატავად, მთიბავთა ესკიზების გასაკეთებლად. აი, ჩაინშნა მონახაზები, შუადღისას კი გლეხები შეიკრიბნენ. უყურებდნენ სურათს და ეუბნებოდნენ: „გვითხარი, ამისათვის რამდენს გიხდიან?“

— მერიდება მას ვუთხრა. ეს ხომ სტალინის პეროიდია, რა თქმა უნდა, მძიმე დრო იყო, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი: კარგად გვიხდიდნენ, არ დავფარავ, ნიკიტა სერგის ძევ, მძიმე დრო იყო, მაგრამ გვიხდიდნენ.

— აი, ერთი მეკითხება: „ნუ, ხუთ მანეთს გიხდიან? მეორე ამბობს: აბა კი, ხუთი მანეთისათვის იჯახირებს, ალბათ თუმანს მაინც. ვეუბნები: „ცოტა მაღლა ადი!“ „ნუთუ ოცდახუთს“. შემრცხვა და ვეუბნები: „ოცდახუთს“. „შეხედე შენ, ყოჩაღ! ჩვენ რამდენი უნდა ვიქნოთ ცელი, რომ ოცდახუთიანი გამოვიმუშაოთ! ცოტ-ცოტა ერთიორი თვე მაინც უნდა ვთიბოთ“.

აი, ასე აგრძელებდა ის. სულ, ლაპარაკობდა, ბოლოს ასე დაამთავრა:

— ძმებო, მოსკოვი უნდა მიატოვოთ, მთელი მხატვრობა პერიფერიებში უნდა გაემგზავროს, სიღრმეში. იქ, რა თქმა უნდა, კომფორტი არ არის, აბაზანა არ არის, შხაპი არ არის, მაგრამ ცხოვრება შეიძლება და ამთავრებს:

— მოსკოვში სიმართლე არ არის!

და ხელით გარშემო წრე შემოხაზა. ის კი ლაპარაკობდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ფონზე! „მოსკოვში სიმართლე არ არის“ და ვიცინოდით კია, მისი გამოსვლის დროს, მაგრამ როცა დაამთავრა, როგორღაც შიშმა აგვიტანა...

ხრუშჩოვი მთელი ეს დრო დუღდა. ხშირად წამოდგებოდა, ილიჩევიც კვერს უკრავდა, დანარჩენები გაქვავებულები იყვნენ.

მეორე დღისათვის დანიშნული იყო გაგრძელება... იგივე დარბაზი. შემოვიდა პრეზიდიუმი...

ხრუშჩოვმა ძალიან მხიარულად დაიწყო:

— მაშ ასე, ამხანაგებო! უნდა გითხრათ, გუშინდელმა გაფრთხილებამ იმოქმედა, აქედან არაფერს გაუგონია. ისიც შეიძლია გითხრათ, გუშინ ზოგიერთ საელჩოში მიღება ჰქონდათ. სიფრთხილისათვის, არავინ გამოცხადებულა. კარგია, კარგი. მოდით, ახლა დავიწყოთ.

ის დღე მოწყენილად დაიწყო, სულ ერთი და იგივეს ღეჭვა, თაობათა მოახლეობა, მადლობა ნიკიტა სერგის ძეს, ხელოვნებას ხალხი ასაზრდოებს და ასე და ამნაირად წავიდა და წავიდა.

და აი, გამოვიდა ვოზნესენსკი. მისი გამოსვლა ლურსმანივით იყო ჩაჭედილი პროგრამაში. მე კიდევაც მიჭირს იმის გადმოცემა, რაც იქ მოხდა. ვოზნესენსკიმ მაშინვე იგრძნო, რომ საქმე ცუდად იყო და ამიტომ მოკრძალებულად, რაღაც გაუბედავად დაიწყო. ხრუშჩოვმა იმწამსვე შეაწყვეტინა მკვეთრად, უხეშად, თითქოს კივილამდე მისულმა ყვირილი დაუწყო ვოზნესენსკის და რა არ უწოდა: „ცილისმწამებელი“, „რას აკეთებთ თქვენ აქ?“ „არ მოგწონთ აქ? მოუსვით ამის და ამის დედასთან“, „ჩვენ თქვენ არ გიჭერთ“, „თქვენ იქ მოგწონთ, საზღვარგარეთ. იქ გყავთ მფარველები — მოუსვით იქ! მიიღეთ პასპორტი, ორ წუთში გაგიფორმებთ. გაუფორმეთ ამას პასპორტი, დაიკარგოს აქედან!“

— მე აქ მინდა ცხოვრება — ეუბნება ვოზნესენსკი.

— თუ თქვენ აქ გინდათ ცხოვრება, ცილისწამებას რაღას ეწევით? ეს რა შეხედულებაა... საბჭოთა ხელისუფლებაზე!

იმ ყვირილის გახსენებაც კი მიჭირს, ეს იმიტომ, რომ არ ველოდი ასეთ აფეთქებას. არც არავინ არ ელოდა. ეს ისე მოულოდნელი იყო, გარკვეულ მომენტამდე როგორღაც მეგონა, ხრუშჩოვი ძალით იღიზიანებდა თავს და ეს ყველაფერი არასერიოზულად ხდებოდა. მაგრამ მორიგი კამათის დროს, სანამ ვოზნესენსკი ცდილობდა, რაღაც ეპასუხა, ხრუშჩოვმა აღარ შეაწყვეტინა, უცებ მოუბრუნდა დარბაზს და სულ ბოლო რიგში დაუყვირა:

— თქვენ რას აკეთებთ მანდ! თქვენ, თქვენ, სათვალიანი, უკანა რიგში, წითელი პერანგით! რას იკრიჭებით თქვენ? მოიცადეთ, თქვენც მოგისმენთ, თქვენი რიგიც მოვა!

ვოზნესენსკიმ აღარ იცის, რა თქვას, ეუბნება:

— მე საბჭოთა წყობილების მომხრე პატიოსანი ადამიანი ვარ. მე არსად წასვლა არ მინდა.

ხრუშჩოვმა ხელი აუქნია: ცარიელი სიტყვებია ეს, სისულელეა.

ვოზნესენსკი ეუბნება:

— ნება მომეცით, ჩემი პოემა „ლენინს“ წავიკითხო.

— არ გვინდა ჩვენ თქვენი პოემები...

— ნება მომეცით, წავიკითხავ.

— კარგი, წაიკითხეთ.

დაიწყო ვოზნესენსკიმ პოემის წაკითხვა. კითხულობს, მაგრამ, ვაი, ამ კითხვას. უკან ხრუშჩოვი ზის, მუშტებს მაგიდაზე აბრახუნებს, გვერდით ცივი კოზლოვი უზის.

წაიკითხა პოემა, ხრუშჩოვმა ხელი აიქნია.

— არაფრად არ ვარგა, თქვენ არაფერი არ იცით და არც შეგიძლიათ იცოდეთ.

...და ბოლოს ეუბნება: „თქვენ არარაობა ხართ“.

და იქვე ყოველგვარი გადასვლის გარეშე:

— თქვენ მანდ, თქვენ რას იკრიჭებოდით? თქვენ, სათვალეში! მობრძანდით აქ!

უკანა რიგში ვიღაც დგება:

— მე? არა თქვენს გვერდით.

დგება მეორე: მე? — თქვენ, თქვენ, თქვენ. რიგებს შორის მიდის სათვალეებიანი, გამხდარი, ყველასათვის უცნობი კაცი, პიჯაკის ქვეშ წითელი პერანგი უჩანს, უჰალსტუხოდ.

ხრუშჩოვის ასეთმა ყვირილმა ვოზნესენსკის მიმართ ინტელიგენტთა მთელ ამ ბრბოში, რაღაცნაირი, საოცარი სასტიკი აღგზნება გამოიწვია. მსგავსი მოვლენა კარგად აქვს აღწერილი ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“, როცა რასტოპჩინი მოუწოდებს, მოკლან ვაჭრის შვილი, ბრბოში ერთმანეთზე გადადის სასტიკი განწყობილება — თავიდან ვერ ბედავენ, შემდეგ კი კლავენ.

მიდის ეს კაცი რიგებს შორის, მას კი უყვირიან. ვიღაც უყვირის:

— წითელი პერანგი ჩაუცვამს!

ის პასუხობს: მე სხვა არა მაქვს.

— მიდი, მიდი, პასუხი აგე შენს საქმეზე!

ის გამოდის, ხრუშჩოვი ეკითხება:

— თქვენ ვინა ხართ?

— მე... მე გოლიცინი ვარ!

— აა, თავადი გოლიცინი?

— თავადი არა, მე... მე მხატვარი გოლიცინი ვარ, მე... მხატვარი გრაფიკოსი... მე რეალისტი ვარ, ნიკიტა სერგის ძევ, გნებავთ ჩემი ნამუშევრები თანა მაქვს, შემიძლია გიჩვენოთ...

ხრუშჩოვმა შეაწყვეტინა: — არ არის საჭირო, აბა, ილაპარაკეთ.

— რა ვილაპარაკო?

— როგორ თუ რა? თქვენ ხომ გამოხვედით, ილაპარაკეთ!

— მე არ ვიცი, რა ვთქვა... მე არ ვაპირებდი ლაპარაკს.

— რახან გამოხვედით, კიდევაც ილაპარაკეთ.

ის დუმს. ხრუშჩოვი ეუბნება: — თქვენ ხომ გესმით, რატომ გამოგიძახეთ?

— დიახ... მე არ მესმის...

— როგორ არ გესმის? დაფიქრდით.

იქნებ იმისათვის, რომ ამხანაგ როჟდესტვენსკის ლექსს ტაში დავუკარი ან ვოზნესენსკის?

— არა, არ ვიცი.

— დაფიქრდით და გაიგებთ. გოლიცინი დუმს.

— აბა, ილაპარაკეთ.

გოლიცინი: — იქნებ მე ლექსები წავიკითხო-

— რომელი ლექსები?

— მაიაკოვსკის — ამბობს გოლიცინი.

ამ დროს დარბაზში ატყდა ისტერიული ხარხარი, ნერვული დაძაბულობა უკვე აუტანელი იყო. ეს სცენა უკვე რაღაც სიურეალისტური ხდება. ეს იყო რაღაც დაუჯერებელი ამბავი.

ბოლოს, როცა მან მაიაკოვსკი ახსენა, ხრუშჩოვმა უთხრა:

— არ არის საჭირო, მიბრძანდით.

გოლიცინი წავიდა. უცებ შემობრუნდა და ეკითხება:

— შეიძლება ვიმუშაო?

ხრუშჩოვი:

— შეიძლება.

გოლიცინი წავიდა.

ამას მოჰყვა ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა.

ხრუშჩოვმა დაიწყო იმით, რომ ბოდიში მოიხადა გაცეცხლებისა და წონასწორობიდან გამოსვლისათვის: „მაგრამ ნუ განმსჯით, საქმე მეტად მნიშვნელოვანია და შეიძლება კაცი ზოგჯერ წონასწორობიდანაც გამოვიდესო“.

შემდეგ სანიმუშო მაგალითებით დაგვიწყო განმარტება, თუ როგორია კარგი ხელოვნება.

— აი, მიდიხარ ზამთარში, ტყეში, მთვარიანი ღამეა. მთვარის სხივებს ქვეშ თოვლს მოციმციმარო ფერი გადაკრავს, აგერ ნაძვები თოვლის საფარქვეშ, უყურებ და ფიქრობ: რა სილამაზეა! აი, ეს ვინმეს რომ დაეხატა, ასე ხომ ვერ დახატავენ. თუ დახატავენ, არ დაუჯერებენ, ეტყვიან: ეს ასე არ ხდება! მაგრამ ხომ არსებობს ცხოვრებაში ეს სილამაზე! რა საჭიროა შთაგონების ძებნა? აი, მეგობარი მყავდა, მაღაროელი...

და კვლავ კითხულობს მაღაროელის ლექსს... ამის შემდეგ კი მთლიანად უცნაური თამაში წავიდა. ხრუშჩოვმა ისეთი რამეების მოყოლა დაიწყო, მეგონა პრეზიდიუმიც მთელი მისი თავშეკავებულობის მიუხედავად, ამას არ ელოდა.

— აი, ამხანაგი ერენბურგი წერს — მან უკვე გაიგო, ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ გაიგო, ან ომის შემდეგ გაიგო, ვინ არის სტალინი და ასე შემდეგ. გაიგო, მაგრამ იძულებული იყო გაჩუმებულიყო. გამოდის, მან გაიგო, ჩვენ კი არ გვესმოდა. თუ გაიგო, რატომ დუმდა? გამოდის ყველანი დუმდნენ? არა, ამხანაგო ერენბურგ, ამბობთ, ყველანი დუმდნენო, არ დუმდნენ ყველანი. აქ არის ამხ. ერენბურგი? მაგრამ ამხანაგი ერენბურგი უკვე წასულიყო... იგი წავიდა, როცა ვოზნესენსკის უყვიროდნენ და აჭაქებდნენ.

მეორე შეხვედრამ ნ. ს. ხრუშჩოვთან ცკ-ის ივნისის პლენუმზე მომინია. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ზარზეიმურობით, და კარგი სადილებით. დაესწრო უამრავი ხალხი. მოწვეული იყო ორიათასზე მეტი სტუმარი.

და აი, შედგა პლენუმი.

უპირველეს ყოვლისა, განმაცვიფრა ჩვენი რჩეული ინტელიგენციის, ასე ვთქვათ, ნაღების ქცევამ.

მწერალთა, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირის წევრები გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილი, რადგან ეს სამი კავშირი უნდა გაეერთიანებინათ. კულუარებში ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რა უნდა ვაკეთოთ, ვთქვათ, კავშირის პლენუმზე? ნუთუ მხატვრები განსჯიან მუსიკის საკითხებს, მუსიკოსები რომანებს, მოთხრობებს და ნოველებს განიხილავენ? ეს ხომ შეუძლებელია. რითი ვიქნებით ჩვენ დაკავებული?

მიუხედავად ამისა, სამივე ხელმძღვანელობა აღფრთოვანებული ესალმებოდა ამ შეერთებას. რაღაცნაირი დაბნეული თვალებით კი, მაგრამ მაინც ესალმებოდა. ამით დამთავრდა სხდომა.

...კვლავ გაგრძელდა სხდომა. კვლავ ლაპარაკობს მორიგი ორატორი და ორატორს კვლავ აწყვეტინებს ხრუშჩოვი.

— ერთი წუთით, — მოუბრუნდა ცკ-ის ორ წევრს და ეუბნება: თქვენ აქ რა გელიმებათ? თქვენ, ამხანაგო ესა და ეს... (დაასახელა ყაზახური გვარი, ერთ-ერთი მდივანი ყაზახეთის)... რას ხედავთ სასაცილოს? ცკ-ის სხდომაზე იმყოფებით, უნდა იცოდეთ, როგორ მოიქცეთ, თქვენ რა, არ გინდათ მუშაობა? შეიძლება განთავისუფლება! როგორ აძლევთ თავს უფლებას ასე მოიქცეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების თანდასწრებით! უმს-გავ-სობაა!..

თითქოს გულიც კი გამიჩერდა. ვაღიარებ, ვერც ვიფიქრებდი, რომ ცკ-ის წევრებს პატარა ბიჭებივით შეიძლება უყვირო, მართალია, მოვისმინე, როგორ უყვიროდა ის ვოზნესენსკის, გოლიცინს, მაგრამ ცკ-ის წევრებზე ვერ წარმომედგინა ასეთი რამ.

შესვენების შემდეგ ბატონი მ. რომი ცუდად შეიქნა, გულის კოვზთან ტკივილი იგრძნო. ჩავიდა ქვეკით, სადაც ამბულატორია იყო, მას ეგონა ღვიძლი აწუხებდა, რადგან ადრე ღვიძლი ტკიოდა. ეტმმა გასინჯა რომი და სტენოკარდია აღმოუჩინა. რომი ეუბნება ეტმს:

— ჩემს დღეში არ მქონია სტენოკარდია და გულიც რკინისა მაქვს.

— არ გქონიათ, მაგრამ ახლა გაქვთ. ხდება ეს ჩვენთან. ეტმი რომს აძლევს ვალიდოლ-ნიტროგლიცერინს, ცოტა ხანს ტახტზე ინვა, შემდეგ წავიდა.

ბატონი მ. რომის წერილი აქ ოდნავ შემოკლებით მოვიყვანე, როგორც აღნიშნეთ, იმ მიზნით, რათა მკითხველთა იმ ნაწილმა, ვინც ხრუშჩოვს არ მოსწრებია, გაიგოს და წარმოდგენა იქონიოს, თუ როგორი ჭკუის კოლოფი „მართავდა“ ქვეყანას თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში.

გაგრძელება იქნება

საქართველოს სახალხო ფრონტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ პარტიის აღმასრულებელ მდივანს გოგი სორდიას გარდაეცვალა დედა

ნუცა ცძვიტაია-სორდია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გზა ცათა სასუფევლისა

ინტერვიუ დეკანოზ ზაქარია მინძიბაძესთან

— მამა ზაქარია, ახალ წელს ერიც ზეიმობს და ბერიც, დღესასწაული თანაბრად უხარია ყველას. თუმცა, ეს საერო დღესასწაულია თუ საეკლესიო, გაუგებარია.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ახალი წელი, საერო დღესასწაულია, ეკლესიასაც გააჩნია თავისი ახალი წელი. იგი სექტემბერში დგება, თუმცა იმას, რასაც საზოგადოება ზეიმობს, ეკლესიაც აღნიშნავს, მაგრამ არა როგორც საეკლესიო დღესასწაულს.

თოვლის ბაბუა და ნაძვის ხე საბჭოთა ადამიანის ოცნების ნაყოფია

— თუ ეს ახალი წელი საეროა, მაშინ რა საჭიროა ორი მსგავსი დღესასწაული ერთ თვეში — ძველით ახალი წელი და ახლით ახალი წელი? გამოდის, ერთ სიხარულს — ორი გვირჩევნია და ვზეიმობთ და ვზეიმობთ?

— არა, უბრალოდ კათოლიკურმა სამყარომ კალენდარი შეცვალა. თუმცა, ძველი კალენდარი გაცილებით უფრო ზუსტია, ვიდრე ახალი. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კალენდარის არსებობა ძნელი შესაგუებელია. ძალიან ძნელია, თუმცა ეს მაინც ასეა. ზოგ მუსულმანურ ქვეყანაში ჯერ ათას სამას რაღაც წელია, ხოლო ბუდისტურ ქვეყნებში 2 ათას რაღაც წელი. ჩვენ ევროპის გავლენით ახალ კალენდარზე გადავედით.

— ახალ წელს ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში რთავენ ნაძვის ხეს... ელოდებიან თოვლის პაპას თუ სანტა კლაუსს...

— რაშია იცით საქმე? საოცარი მოვლენა მოხდა. საბჭოთა პერიოდში, საბჭოთა მოქალაქეს წაართვეს, დაუმალეს ღმერთი და უთხრეს, რომ იგი არ არსებობს. მის ნაცვლად ადამიანებმა შექმნეს თოვლის პაპა, იდეალური პიროვნება, რომელიც მოდის ამ ახალ წელს და მოაქვს საჩუქრები, სიკეთე, სიხარული. იგი თავის ფუნქციით, დატვირთვით უფრო დიდია. ვიდრე ევროპული სანტაკლაუსი — წმინდა ნიკოლოზი. თოვლის პაპა საბჭოთა მოქალაქისთვის ღმერთის იდეალი იყო. თოვლის ბაბუა თოვლთან, ნაძვის ხესთანაა დაკავშირებული, მაგრამ ნაძვის ხე ყველა ქვეყანაში არ არის, ეს უფრო საბჭოთა ადამიანის ოცნების ნაყოფია.

— არსებობს გადმოცემა, რატომ რთავენ ნაძვის ხეს. როცა იუდეველთა მეფემ ჩვილი იესო ქრისტეს მოკვლა გადაწყვიტა, ღვთისმშობელი მარიამი და იოსები იუდეადან ეგვიპტეში გაიქცნენ. გზაში მდევრები წამოეწიათ. ერთი დიდი ნაძვის ქვეშ შეაფარეს ლტოლვილებმა თავი. ნაძვმა ტოტები მიწამდე დახარა და დამალა ისინი. მდევრებმა ვერ შენიშნეს ნაძვის ხის ქვეშ დამალული მარიამი და იოსები. გადმოცემის მიხედვით, სწორედ ამიტომ რთავენ ნაძვის ხეს ახალ წელს.

— ასეთი სწავლება არ არსებობს. ამ თქმულების მიხედვით გამოდის, რომ ნაძვი აღარ უნდა მოვჭრათ, ნაძვებს უნდა ვეფერებოდეთ. ეს კი გაფეტიშება იქნება. ეკლესიურად სხვა ხეებისგან განსხვავებით, ნაძვს რაიმე უპირატესობა არა აქვს. რაც სამყაროში შექმნილია, ვაშლი იქნება ეს, ლეღვი, თუ ნაძვი, ყველაფერი ადამიანისთვისაა, მთავარია როგორ გამოვიყენებთ მას.

— ნაძვის ხე ახალ წლამდე უნდა მოირთოს და ნათლისღებამდე აუცილებლად უნდა დაიშალოს, თორემ ოჯახისთვის უბედურება მოაქვსო, ტყუილია?

— რადგან მას არანაირი ეკლესიური და რელიგიური დატვირთვა არ გააჩნია, შესაბამისად, არც ნათლისღება არაფერ შუაშია მის დადგმასა და ალებასთან.

— ახალი წელი ზარ-ზეიმით მოდის და ამასთან ერთად შიშითაც– მეკვლეს ყველა ოჯახი საგულდაგულოდ არჩევს და სჯერა, თუ ის კარგი ფეხისა იქნება, მომავალი წელიც ბედნიერად ჩაივლის. ეკლესია თუ აღიარებს მეკვლის ინსტიტუტის არსებობას?

— არც ამ რიტუალს აღიარებს ეკლესია. არავითარი ბედი და უბედობა არ არსებობს და არც არავის ფეხს არ უკავშირდება. ეს გახლავთ ხალხური ტრადიცია, რომელიც მოდის წარმართული რელიგიებიდან. მეკვლის არ უნდა გვეშინოდეს. მასზე დამოკიდებული არ უნდა ვიყოთ. ჩვენ არც ადამიანის ფეხის, არც ძაღლის და არც სხვა რამის იმედი არ უნდა გვქონდეს, არამედ ღმერთის და ჩვენი შრომის.

— ახალი კალენდრით შობა 7 იანვარს ემთხვევა, ახალი წელი 1 იანვარს. გამოდის, რომ პატრიარქი შობა-ახალ წელს ორჯერ გვილოცავს, ძველი კალენდრით და ახლითაც.

— მე საუბრის დასაწყისშიც გითხარით, იმ სიხარულს, რაც ერსა და ხალხს გააჩნია, ეკლესიაც უერთდება. პატრიარქი ყოველდღე გვლოცავს, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, ეს მადლობის მაგიერია? არ გვინდა, რომ დაგვლოცოს?

გვილოცავს და გვლოცავს, რომ საერო დღესასწაულიც ბედნიერი ყოფილიყოს ერისა და ქვეყნისათვის. ღმერთმა დაგლოცოთ!

ნანა გელოვანი

დღენი. წმინდათა სახსოვარნი

21 იანვარი — აბო ტფილელისა
27 იანვარი — ნინო განმანათლებლისა (ნინოობა)
1 თებერვალი — ანტონ მარტყოფელისა
8 თებერვალი — დავით აღმაშენებლისა
11 თებერვალი — აშოტ კუროპალატისა
26 თებერვალი — შიო მღვიმელისა (შიოობა)
25 მარტი — დემეტრე თავდადებულისა
11 აპრილი — ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი
14 მაისი — თამარ მეფისა (თამარობა)
20 მაისი — იოანე ზედაზნელისა, ცამეტი მამისა
26 მაისი — ექვთიმე ათონელისა
1 ივნისი — წმინდა ნინოს მოსვლა საქართველოში
4 ივნისი — დავით გარეჯელისა (მამადავითობა)
30 ივნისი — შალვა ახალციხელისა
4 ივლისი — არჩილისა და ლუარსაბისა
10 ივლისი — გიორგი ათონელისა
25 ივლისი — იოვანე ათონელისა
2 აგვისტო — ილია მართლისა (ჭავჭავაძე)
11 აგვისტო — ევსტათი მცხეთელისა
10 სექტემბერი — შუშანიკისა
28 სექტემბერი — აბბა იოსებ ალავერდელისა
1 ოქტომბერი — ბიძინა, შალვა, ელიზბარისა
15 ოქტომბერი — დავით და კონსტანტინე მოწამეთა, ორწოთობა
18 ოქტომბერი — გრიგოლ ხანძთელისა
13 ნოემბერი — ასი ათასი წამებულისა
23 ნოემბერი — კონსტანტი კახისა
30 ნოემბერი — გობრონ მიქაელისა
12 დეკემბერი — ამბროსი ნეკრესელისა
13 დეკემბერი — ვახტანგ გორგასლისა
15 დეკემბერი — ისე წილკნელისა

ფეხბედნიერი მეკვლე

აპრილში მოსასვლელი სანტექნიკოსი, ცოტა მოგვიანებით, 13 იანვარს მომადგა კარზე. ვიცოდი, ხელოსნები რომ მატყუარები იყვნენ, მაგრამ 8 თვეს თუ მალოდინებდა, არ მეგონა.

— მაპატიეთ, ბატონო, ცოტა შემაგვიანდა, რა ვქნა? ველარ ავუდივარ საქმეებს, კლიენტი ბევრია.

— აქეთ მობრძანდით, ბატონო! — ვუთხარი და სააბაზანოს კარი შევუღე. — აბაზანიდან ისეთი ჩხრიალი ისმოდა, ძლივს გამაგონა ხმა სანტექნიკოსმა: — ბატონო, მე ცხელი წყლის სპეციალისტი ვარ, ცივს ვერ შევაკეთებ! — გადამავლო მდუღარე.

— შენი ჭირიმე, ამ საახალწლოდ ნუ წამიხდენ ხასიათს და, რაც ღირს, გადავიხდი!

სანტექნიკოსი მოლბა.

— სინათლე საიდან ინთება?

— სინათლე მალე იქნება, ბატონო. აქ სადღაც რაღაც მოიშალა და მონტიორი მყავს გამოძახებული. სანამ მონტიორი მოვა, ჩვენ თითო დავილოცოთ, თორემ გავცივდებით. სანთელს მოვუკიდე და შანდალი მაგიდაზე დავდგი.

სანტექნიკოსმა პალტოს ღილები შეიკრა და ტკბილეულით გაწყობილ მაგიდას მიუჯდა. სირჩები ჭაჭის არყით შევავსე:

— სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცეს ღმერთმა! — თქვა და გადახუხა.

— კარგად ვიყოთ! — ვთქვი და მეც გადავხუხე.

— ორი სახარება შეგვეწიოს მესამე თავზე დაგვტრიალებდეს! — თქვა და დაშაქრული მარწყვით გადაყლაპა.

— შეგვეწიოს! — გადავკარი მეც.

მესამე სახარება ახალი ნათქვამი გვქონდა, მონტიორი და ახალი წელი ერთად რომ შემობრძანდა ჩემს ოჯახში.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — ადგა და ხელები გაშალა სანტექნიკოსმა.

— გაგიმარჯოთ, მრავალ ახალ წელს დაესწარით, ასე ტკბილად დამიბერდით! — თქვა და თითო კოწახურის კანფეტი დაგვარიგა. — დაგვიანებისთვის ბოდიშს ვიხდი, რა ვქნა, დილიდან ლიფტში ვარ გაჭედილი. ისე მომშივდა, საიზოლაციო ლენტი შევჭამე!..

— კანფეტი გეჭამა, შე ოჯახაშენებულო!

— არ მიყვარს კოწახურის კანფეტი, მჟავეა!

მესამე სახარებაც რომ გადაიპირქვავა ხახაში, მონტიორი ადგა და იარღების ჩემოდანი გახსნა.

— არა, არა, ყორაჯან, არ გინდა! — ჩააფრინდა სანტექნიკოსი, — ჯერ ერთი, რომ შენ ახლა მონტიორი კი არა, მეკვლე ხარ, მეორეც ის, რომ ნასვამი ხარ და შეიძლება დენმა დაგარტყას, მესამე კიდევ ისა, რომ სანთლის შუქზე პურის ჭამას რა ჯობია!

— ამ ჭიქით ჭერს გაუმარჯოს! — თქვა სანტექნიკოსმა და ჭერს ახედა, — და, აი, იმ ვარსკვლავებივით მოჭედილ ცას, ჩვენ რომ დაგვნათის თავზე!

— გაუმარჯოს! — თქვა მონტიორმა და დიდი დათვის თანავარსკვლავედს იმანაც ახედა, — ვა! ეს ამბავი გამგეობაში იციან?! — ხელი ჭერისკენ გაიშვირა.

— იციან!

საახალწლო ნოველა

— პაზორ!

ქეიფი ეშხში შევიდა. თითოც რომ დავლიეთ, მაგნიტოფონი ჩავრთე და მთელ ბინაში დუდუკის საამო ჰანგები დაიღვარა:

„ზამთრის ყინვა არ მაშინებს,
შენ რომ გხედავ, მაშინ მცივა!“

ღიღინებდა მედოლე.

„მე ჭამა-სმა არ მაკლია,
შენი სიყვარული მშია!..“

აჰყვა სანტექნიკოსი და ჩემს მეუღლეს გაუღიმა. ამ სიმღერას „ვარსკვლავიანსა ღამეს“ რომ მოჰყვა, მონტიორს გული ამოუჯდა, პალტოს სახელოთი ცრემლი შეიმშრალა და მითხრა:

პატივცემულოჯან, ჩვენმა წინაპრებმა არც იცოდნენ, რა იყო ელექტრონი, ცენტრალური გათბობა და ლიფტი, მაგრამ ჩვენზე ჯანმრთელებიც იყვნენ და მეტ ხანსაც ცოცხლობდნენ! თუ გინდათ, რომ, აი, ეს რამანტიკა, ეს სუფთა ჰაერი, სიგრილე (შეაურუოლა და პალტოს საყელო აიკეცა), წყლის სასიამოვნო ჩხრიალი, რომელიც ნერვებს აწყნარებს, მუდმივად იყოს თქვენს ბინაში, ხურაფერს ნუ შეაკეთებთ! ასე ჯობია!

ხელოსნებმა თითოც დალიეს, ჩემოდნები აიღეს და კიბეებს ბანცალ-ბანცალით დაუყვნენ...

ისე ყველაფერი კეთილად აგისრულდეთ, როგორც მე ამისრულდა ხელოსნების საახალწლო სურვილები. მას შემდეგ ჩემს ოჯახში ხელოსანი არ გაჭაჭანებულა! ვცხოვრობთ ბედნიერად, დაწყნარებულად! ისე გავკაჟდით ყველანი, პოლიკლინიკისა და აფთიაქის გზა დაგვავიწყდა! სამაგიეროდ, ის ახალი წლის ღამეა დაუვიწყარი ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისათვის!...

მოგვბაძეთ ჩვენ!

ნიკოლოზ იოსებიძე

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.